

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მაგისტრატურის პროგრამა რუსეთისმცოდნეობა

დობაძიშვილი ქეთინო

„კაუკაზიშე პოსტი“ - ერთადერთი გერმანულენოვანი გაზეთი
კავკასიაში, პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების ეპიცენტრში
(1918-1922)“

ნაშრომი შესრულებულია რუსეთისმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი დალი კანდელაკი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოც. პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის უმთავრესი ობიექტი არის გერმანულენოვანი პერიოდული გამოცემა „კაუკაზიშე პოსტი“. გაზეთი ზუსტად და ზედმიწევნით ახდენს არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ანალიზს. ინფორმაციული და ანალიტიკური სტატიების მრავალფეროვნება „კაუკაზიშე პოსტს“ ძალიან მნიშვნელოვან წყაროდ წარმოაჩენს. გაზეთის პოტენციური სამეცნიერო ღირებულება დღემდე სათანადოდ არ არის შეფასებული, რაზეც მისი შესწავლის ხარისხიც მეტყველებს.

„კაუკაზიშე პოსტის“ კვლევა საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს საქართველო-გერმანიის შორის არსებული ურთიერთობის მთელი რიგი ასპექტები; ესაა დაგროვილი გამოცდილება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის, რისი გათვალისწინება მათ თანამშრომლობას უფრო წარმატებულს და ნაყოფიერს გახდის.

კვლევის მიზანს წარმოადგენს სამეცნიერო მიმოქცევაში ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობი, „კაუკაზიშე პოსტში“ გამოქვეყნებული სტატიების შესწავლა-ანალიზი და შესაბამისად, კავკასიის ისტორიის წყაროთა ბაზის გამდიდრება.

კვლევის მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია შემდეგი ამოცანების შესრულება და საკითხების შესწავლა:

1. „კაუკაზიშე პოსტის“ შექმნის საკითხის გარკვევა; რამდენად ეწეოდა გაზეთი გერმანული პოლიტიკის პოპულარიზაციას კავკასიის სივრცეში;
2. გერმანული კორესპონდენტების მიერ გაშუქებული ბრესტ-ლიტოვსკის და ბათუმის კონფერენციები;
3. ყაჩაღური ბანდების მოქმედება საქართველოში;
4. „კაუკაზიშე პოსტის“ რამდენიმე სტატიის ავტორის როზა ლუქსემბურგთან იდენტიფიკაციის საკითხის გარკვევა;
5. გერმანული ექსპორტის საქართველოში გამოგზავნის პრობლემა;
6. ნოე ჟორდანიას საჩივარი „კაუკაზიშე პოსტის“ რედაქციისადმი და გაზეთის რეორგანიზაციის საკითხი;

აღნიშნული კვლევა ხელს შეუწყობს მეზობელ სახელმწიფოებთან და ხალხთან არსებული ურთიერთობების ეთიკური ასპექტების შემეცნება – განჭვრეტას.

ნაშრომს მეცნიერული ღირებულების გარდა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება. სამეცნიერო კვლევის შედეგები თავის პოზიტიურ წვლილს შეიტანს სასწავლო კუთხით.

Annotation

The main goal of the master thesis is the German newspaper "Caucasian post". The newspaper analyses exactly and thoroughly the current events in the Caucasus and in the whole world. The variety of informative and analytical articles represents a "Caucasian Post" as a very important source. The potential scientific value of the newspaper is still not evaluated appropriately, and the quality of his study.

The study of the "Cauchy's Post" will allow a range of existing aspects of the relationship between Georgia and Germany, which is the accumulated experience of relations between the two countries, which will make their cooperation more successful and fruitful.

The aim of the study is to research and analysis the articles published in an unusual "Caucasian Post" for Georgian historiography in scientific circulation and thus to expand the basis of historiography in the Caucasus;

To achieve the objective of the research, it is important to fulfill the following tasks and study the issues:

1. Find out the issue of creating a "Caucasian post". The issue of popularization of German policy in the Caucasus.
2. conferences in Brest Litovsk and Batumi, accompanied by German correspondents;
3. action of gangs of robbers in Georgia.
4. the question of the identification of an author with Rosa Luxemburg, who has written several articles for the "Caucasian Post".
5. the problem of sending German exports to Georgia.
6. the complaint of Noe Zhordania to the editorial staff of the newspaper and the necessity of reorganization of the newspaper.

This research will facilitate the understanding of ethical aspects of relations with neighboring countries and people.

The work will have great practical significance, except in terms of scientific value. The results of scientific research will contribute to a positive contribution.

სარჩევი

შესავალი -----	7
თავი 1. ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების ისტორიის ფურცლებიდან -----	13
თავი 2. „კაუკაზიშე პოსტი“ - ერთადერთი გერმანულენოვანი გაზეთი 1906-1922 წლებში --- -----	17
თავი 3. გაზეთ „კაუკაზიშე პოსტის“ სტატიების უცნობი ავტორის იდენტიფიკაციის საკითხი -- -----	22
თავი 4. „კაუკაზიშე პოსტი“ ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებების შესახებ	
§4.1. საზავო ხელშეკრულების 4 პუნქტის ცვლილება-----	28
§4.2. ყაჩაღთა ბანდები საქართველოში -----	37
თავი 5. საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივები „კაუკაზიშე პოსტის“ მიხედვით- 41	
თავი 6. „კაუკაზიშე პოსტის“ რეორგანიზაციის საკითხი -----	49
დასკვნა -----	54
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა -----	57

შესავალი

სამაგისტრო ნაშრომის - „კაუკაზიშე პოსტი“ - ერთადერთი გერმანულენოვანი გაზეთი კავკასიაში, მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების ეპიცენტრში (1918-1922)“ - კვლევის უმთავრესი ობიექტი არის გერმანულენოვანი პერიოდული გამოცემა „კაუკაზიშე პოსტი“, რომელიც 1906-1914, 1918-1922 წლების შუალედებში გამოდიოდა საქართველოში. გაზეთი ზუსტად და ზედმიწევნით ახდენს არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ანალიზს. ინფორმაციული და ანალიტიკური სტატიების მრავალფეროვნება „კაუკაზიშე პოსტს“ ძალიან მნიშვნელოვან წყაროდ წარმოაჩენს. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიციალური ორგანო, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ხშირად იყენებდა „კაუკაზიშე პოსტის“ მასალას, მაშინაც კი როცა საქმე ქვეყნის საშინაო საკითხებს ეხებოდა.

„კაუკაზიშე პოსტით“ ჩემი დაინტერესება იმ ფაქტორმაც განაპირობა, რომ გერმანელი კოლონისტების პოზიცია ბევრად ობიექტურია კავკასიაში მიმდინარე მოვლენების შეფასება-ანალიზისას და ნაკლებად ტენდენციური. მართალია გერმანელობის შეგრძნება მათში კვლავაც ძლიერია, თუმცა მათ არ ავიწყდებათ, რომ ისინი კავკასიის ნაწილი არიან. გერმანიას რამდენადაც არ უნდა გაეხადა კავკასიელი გერმანელი კოლონისტების პერიოდული გამოცემა საკუთარი პოლიტიკის დასაყრდენი კავკასიაში, ეს გერმანელ კორესპონდენტს ხელს არ უშლიდა მოვლენების ჯანსაღ შეფასებაში.

გაზეთის პოტენციური სამეცნიერო ღირებულება დღემდე სათანადოდ არ არის შეფასებული, რაზეც მისი შესწავლის ხარისხიც მეტყველებს. აღნიშნული სიცარიელის შევსებას ისახავს მიზნად ჩემი კვლევა სამაგისტრო ნაშრომის სახით. ვიკვლევ „კაუკაზიშე პოსტის“ 3 წლის შუალედში 1918-1922 წლებში გამოცემულ ნომრებს (1918 წელს დაიბეჭდა 92 ნომერი, 1919 – 100, 1920 – 92, 1921 – 35, 1922 – 51), ვინაიდან სწორედ ამ პერიოდში ხდება ის პოლიტიკურად არანაყოფიერებული და საკვლევად ძალიან საინტერესო,

განსხვავებით 1906-1914 წლის გამოცემებისგან, როცა რეალურად გაზეთი ბევრად ნაკლებად ანალიტიკურია და უფრო სარეკლამო ფუნქცია გააჩნია.

ხაზი უნდა გაესვას თანამედროვე პერიოდში საქართველო-გერმანიას შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას, რასაც ნათელყოფს გერმანიის კანცლერ, ანგელა მერკელის საქართველოში ვიზიტი 2018 წელს. ვიზიტის დროს დაანონსდა ბევრი პროექტი, სტიპენდია-გრანტები, ინვესტიციები, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს ორი ქვეყნის ურთიერთობას. „კაუკაზიშე პოსტის“ კვლევა საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს საქართველო-გერმანიას შორის არსებული ურთიერთობის მთელი რიგი ასპექტები, ესაა დაგროვილი გამოცდილება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის, რისი გათვალისწინება მათ თანამშრომლობას უფრო წარმატებულს და ნაყოფიერს გახდის.

სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს შესავალ ნაწილს, ექვს თავს, რომელიც დაყოფილია ქვეთავებად და დასკვნას. ნაშრომს დართული აქვს გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია.

სამაგისტრო ნაშრომი წყაროთმცოდნეობითი კვლევაა, შესაბამისად, კვლევის მეთოდი სამსაფეხურიან სისტემას წარმოადგენს:

1. წყაროს თარგმნა გერმანულიდან ქართულ ენაზე;

2. წყაროს კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენება - შედარება ქართულ (პერიოდული გამოცემები: „საქართველოს რესპუბლიკა“, „საქართველოს მოამბე“ და სხვ.) რუსულ და უცხოენოვან პირველწყაროებთან (როზა ლუქსემბურგის ნაშრომები, ფრიდრიხ ფონ კრემენშტაინის მოგონებები), ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ შეხედულებებთან (ციურერის, ფიშერის, ბაუმგარტის ნაშრომები და სხვ.), რაც შესაძლებელს გახდის ახალი მასალის სანდოობისა და სიზუსტე-მცდარობის დადგენას;

3. წყაროს ჩვენეული შეფასება, მისი ხასიათი და მნიშვნელობა.

კვლევის პროცესში ვუპასუხებთ შემდეგ კითხვებს:

1. რატომ განახლდა 1918 წლიდან გერმანული გაზეთი "კაუკაზიშე პოსტის" გამოცემა კავკასიაში? ვინ უწყობდა ხელს აღნიშნული გაზეთის გამოცემას და რა მიზნით?

2. რატომ შეიცვალა გერმანიის და მისი მოკავშირეების მოთხოვნები, რაც 1918 წლის 21 თებერვალს გახდა ცნობილი, 1918 წლის 2 მარტისთვის? რატომ მოჰყვა ამას გაზეთის მწვავე რეაქცია? საუბარია ახალ პუნქტზე, რომელიც ხელშეკრულების ტექსტს დაემატა, რის მიხედვით უნდა დაეთმო რუსეთს ბათუმი, ყარსი და არტაანი?

3. რას გულისხმობდა კავკასიის ტერიტორიების (ბათუმი, ყარსი, არტაანი) „ახალი მონყობა მეზობელ სახელმწიფოებთან, სახელდობრ, თურქეთთან შეთანხმებით“¹ მაშინ როცა ამიერკავკასიის ერთადერთი მეზობელი სახელმწიფო რეალურად თურქეთი იყო. რა იყო აღნიშნული პუნქტის ასეთი ფორმულირების მიზანი: შეექმნა დემოკრატიის შთაბეჭდილება თუ არსებობდა იდეა ან მოლოდინი, რომ ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოები შეიქმნებოდა?

4. როგორ შეიძლება აიხსნას გერმანიის პოლიტიკის ცვლილება ამიერკავკასიასთან მიმართებაში ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებების დასასრულს? რა ფაქტორებმა ითამაშა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი?

5. ყაჩაღური ბანდების მოქმედება საქართველოში:

✓ იყო თუ არა მათი თავდასხმები გერმანელ კოლონისტებზე ინსპირირებული თურქული მხარის მიერ;

✓ რამდენად შემთხვევითი იყო ის გარემოება, რომ თურქეთის მიერ ყარსის დაკავებამდე, ბანდიტურმა დაჯგუფებებმა ინტენსიური თავდასხმებით გერმანელი კოლონისტები აიძულეს სახლ-კარი დაეტოვებინათ;

✓ ცდილობდა თუ არა თურქეთი გერმანელი კოლონისტების თავიდან მოშორებით, გაძარცვით და ეკონომიკური განადგურებით, კავკასიაში გერმანული პოლიტიკური გავლენის განეიტრალებას?

6. რატომ არ შემოვიდა საქართველოში გერმანული საექსპორტო პროდუქცია?

7. რატომ გახდა საჭირო „კაუკაზიშე პოსტის“ რეორგანიზაცია?

გაზეთ „კაუკაზიშე პოსტის“ შესწავლა მრავალ საინტერესო და საყურადღებო გარემოებას გამოავლენს, რაც უახლესი ისტორიისთვის მნიშვნელოვანი მასალაა. ბევრ

¹ Proceedings of the Brest-Litovsk Peace conference. The peace negotiations between Russia and the central powers, Washington 1918, p. 16.

კითხვას გაეცემა პასუხი აღნიშნული პერიოდული გამოცემის მასალაზე დაყრდნობით და მისი სხვა პარალელურ წყაროებთან შედარება-შეჯერების შედეგად.

აღნიშნული საკითხით ჯერ კიდევ იენის უნივერსიტეტში სწავლის დროს დავინტერესდი და „კაუკაზიშე პოსტის“ რამდენიმე ნომერი გამოვიკვლიე, რასაც გაეცნო გერმანელი პროფესორი, მკვლევარი იოახიმ პუტკამერი. მისმა დადებითმა შეფასებამ და რეკომენდაციამ, რომ კვლევა გამეგრძელებინა, მიმიყვანა აღნიშნულ პროექტამდე. კვლევის შედეგები საინტერესო იქნება გერმანული საზოგადოებისთვის. შესაბამისად, ვგეგმავ მის თარგმნას, წიგნად გამოცემას და გერმანიის უნივერსიტეტებში გავრცელებას. აღნიშნული კვლევა ხელს შეუწყობს მეზობელ სახელმწიფოებთან და ხალხთან წარმოებული ურთიერთობების ეთიკური ასპექტების შემცნება – განჭვრეტას.

ნაშრომს მეცნიერული ღირებულების გარდა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება. სამეცნიერო კვლევის შედეგები თავის პოზიტიურ წვლილს შეიტანს სასწავლო კუთხით. გამოქვეყნდება ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობი მასალა, რითაც გაფართოვდება კავკასიის ისტორიის წყაროთა ბაზა. ნაშრომი განკუთვნილი იქნება როგორც უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, ასევე ისტორიით დაინტერესებული როგორც ქართველი, ასევე უცხოელ მკითხველთა ფართო წრისათვის.

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა უახლესი ისტორიის სფეროს გარდა, დიდ დახმარებას გაუწევს პოლიტიკის, კავკასიოლოგიის, რუსეთისმცოდნეობის მიმართულებას. იმავდროულად ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს აღნიშნული კვლევა უურნალისტიკამოცემბა, რომელიც მეტად რთული პოლიტიკური ვითარების დროს უაღრესად აქტიურად მუშაობს და ცდილობს ობიექტურად გააშუქოს უმნიშვნელოვანესი მოვლენები კავკასიაში, რუსეთსა და მთელ მსოფლიოში.

წარმოდგენილ ნაშრომში ვეყრდნობი „კაუკაზიშე პოსტის“ გამოცემებს, რაც საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ოფიციალურ საიტზეა განთავსებული ელექტრონულ ფორმატში. ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზისთვის მივმართე როზა ლუქსემბურგის ნაშრომებს, განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა მისი ნაშრომი რუსეთის რევოლუციის შესახებ.

ჩემი კვლევის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა ახსნა, თუ რა როლი ითამაშა კავკასიამ ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებებში, ამიტომ ყურადღებით გავეცანი აღნიშნული მოლაპარაკებების მასალის ინგლისურენოვან ვერსიას.²

აქტიურად ვიყენებ კვლევის პროცესში ქართულ პერიოდულ გამოცემებს შედარებითი ანალიზის მიზნით. დამხმარე მასალად გამოვიყენე: ვინტრიდ ბაუმგარტის „გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკა 1918. ბრესტ-ლიტოვსკიდან პირველი მსოფლიო ომის ბოლომდე“, ვერნერ ციურერის „კავკასია 1918-1921. ბრძოლა მთავარ ძალებს შორის შავ და კასპიის ზღვებზე კონტროლის მიზნით“ და ფრიტც ფიშერის „სწრაფვა მსოფლიოში ბატონობისთვის“, ასევე დავით პაიჭაძის მიერ გერმანულ ენაზე გამოცემული, კრეს ფონ კრესენშტაინის „ჩემი მისი კავკასიაში“, რომელსაც დართული აქვს იმ პერიოდის გერმანულენოვანი მნიშვნელოვანი დოკუმენტები. გერმანული კოლონიების ისტორიის შესწავლის მიზნით გავეცანი გ. მანჯგალაძის, პ. გუგუშვილის და ა. სონლულაშვილის ნაშრომებს გერმანული კოლონისტების შესახებ. გ. მანჯგალაძის და პ. გუგუშვილის კვლევებს წითელ ხაზად გასდევს ანტიგერმანული განწყობა, რაც ვფიქრობ მეორე მსოფლიო ომის და მის შემდგომ პერიოდში დამახასიათებელი იყო საბჭოთა სივრცისთვის. ა. სონლულაშვილის ნაშრომში ანტიგერმანიზმი ნაკლებად საგრძნობია. ეს ავტორი საარქივო მასალის საფუძველზე ცდილობს გააშუქოს 1918 წლის გერმანიის სამშვიდობო მისიის დროს გერმანულ ჯარისკაცებს, კოლონისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის არსებული კონფლიქტები. სამივე ავტორს აერთიანებს ის ფაქტი, რომ სამივე მათგანი ნაკლებად ან საერთოდ არ იყენებს კვლევის პროცესში გერმანულენოვან ლიტერატურას, რაც რუსულენოვანი მასალის საფუძველზე ხშირად ცალმხრივი დასკვნების გაკეთებას განაპირობებს. ვფიქრობ, არასწორია გერმანული კოლონისტების დადანაშაულება, როცა რუსეთის კოლონიური პოლიტიკა ახალისებდა კოლონიზაციას და ხელს უწყობდა კოლონისტებს, რომ მოსულიყვნენ საქართველოში და დასახლებულიყვნენ აქ და ხელს უწყობდა კოლონისტებს ყოველმხრივ, რომ ყოფილიყვნენ ისინი პრივილეგირებულ მდგომარეობაში და გაძლიერებულიყვნენ

² Proceedings of the Brest-Litovsk Peace conference. The peace negotiations between Russia and the central powers, Washington 1918.

ეკონომიკურად. ეს არ იყო გერმანელი კოლონისტების დანაშაული! ეს იყო რუსეთის იმპერიის პოლიტიკური გადანწყვეტილება, შეეცვალა საქართველოს და ზოგადად ამიერკავკასიის ეთნიკური სახე სხვა ეთნოსების მოყვანის და გაძლიერების ხარჯზე. შესაბამისად, ზემოხსენებული ავტორების შედარებები გერმანელი კოლონისტების და ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობას შორის, მთლად სწორი არ უნდა იყოს, ამიტომაც ვთვლი, რომ აღნიშნულ შედარებებამდე საკითხის დაყვანა სავარაუდოდ, ანტიგერმანული დამოკიდებულებით უნდა იყოს გამოწვეული.

თავი 1

ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების ისტორიის ფურცლებიდან

რუსეთის იმპერატორის ეკატერინე II-ის 1763 წლის მანიფესტზე დაყრდნობით დაიწყო იმპერიის ტერიტორიებზე გერმანული კოლონისტების ჩამოსახლება (История российских немцев в документах 1993:18-21). თუმცა ეს ტალღა მაშინ კავკასიას არ შეხებია. უკვე XIX საუკუნის 10-იან წლებში ჩამოსახლება ამიერკავკასიისკენ იყო მიმართული.³ გერმანელების ემიგრაციას კი თავისი მიზეზები ჰქონდა:

1. პოლიტიკური არეულობა გერმანიაში, რაც ნაპოლეონის ომებით იყო გამოწვეული;

2. კაპიტალიზმის განვითარება და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა (მანჯგალაძე 1974:12);

3. გერმანიაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა უბიძგებდა მოსახლეობას წასულიყო ემიგრაციაში. 1815 წელს ინდონეზიაში მომხდარმა ვულკან ტაბორას ამოფრქვევამ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ვულკანური ფერფლი გაავრცელა, რის შედეგად 1816 წელს არ ყოფილა ზაფხული და ე.წ „ვულკანური ზამთარი“ მთელი წელი გაგრძელდა, რამაც შიმშილობა და მოუსავლიანობას შეუწყო ხელი;⁴

4. რელიგიური დევნა (გუგუშვილი 1949:470). გერმანული კოლონისტები წარმოადგენდნენ ე.წ „სეპარატისტებს“. მათ უარყვეს ლუთერანული ეკლესია და იყვნენ „ჰილიაზმის“ მიმდევრები. მათ სჯეროდათ, რომ კიდევ იქნებოდა მსოფლიო წარღვნა და სურდათ, რომ ამ მოვლენას არარატის მთასთან კავკასიაში შეხვედროდნენ (მანჯგალაძე 1974:16).

³ <https://geschichte.rusdeutsch.ru/16/57> (საიტზე მიმართვის თარიღი - 18.06.2019).

⁴ <http://einung.org/ge/> (საიტზე მიმართვის თარიღი - 12.05.2019).

სწორედ ამ „სეპარატისტებმა“ მოახერხეს და 1816 წელს⁵ კავშირი დაამყარეს შტუტგარტში რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-თან (გუგუშვილი 1949:470) შედგა ორივე მხარეს შორის შეთანხმება, რომლის თანახმად, ისინი გადასახლდებოდნენ კავკასიაში და ამაში მათ რუსეთის იმპერატორი დაეხმარებოდა. 1804 წელს იმპერატორმა გამოსცა მანიფესტი, რომლის მიხედვით გერმანელი კოლონისტები ვალდებულები იყვნენ დაეკმაყოფილებინათ მთელი რიგი პირობები, კერძოდ, სცოდნოდათ რაიმე ხელობა, ასევე მევენახეობა და მებაღეობა, ამას გარდა მათ აუცილებლად უნდა ჰყოლოდათ ცოლ-შვილი.⁶ გერმანულ ოჯახებს, რომლებიც ძირითადად ბადენ-ვიურტემბერგიდან იყვნენ, ხელს უწყობდა კავკასიის იმდროინდელი მთავარმართებელი, გენერალი ალექსი ერმოლოვი.⁷ გერმანელები ოდესის, ყირიმის და ჩრდილო კავკასიის გავლით ჩამოვიდნენ საქართველოში. მგზავრობა, რომელიც 90 დღეს გაგრძელდა, მეტად რთული აღმოჩნდა მათთვის (შპრინგჰორნი 2004:27). სანამ მათ მისაღებად კავკასიის ხელისუფლება საორგანიზაციო საკითხებს მოაგვარებდა, მათ ოდესაში მოუწიათ გაჩერება, სადაც სახადი გავრცელდა, რის შედეგადაც მათგან თითქმის ნახევარი გარდაიცვალა (გუგუშვილი 1949:470-471).

1817-1819 წლებში და მოგვიანებით კავკასიაში მოსულმა გერმანელებმა საქართველოში შექმნეს მთელი რიგი კოლონიები: მარიენფელდი (1819), ალექსანდერსდორფი (1819), პეტერსდორფი (1819), ელიზაბეტტალი (1819), კატარინენფელდი (1819), ანენფელდი (1819), ჰელენენდორფი (1819), თბილისის

⁵ მეცნიერი, გ. მანჯგალაძე თვლის, რომ ეს მოვლენა 1815 წელს უნდა მომხდარიყო, რადგან იმპერატორი ალექსანდრე I 1816 წელს რუსეთში იმყოფებოდა (მანჯგალაძე 1974: 21-22).

⁶ <http://www.russlanddeutschesgeschichte.de/russisch/geschichte/teill/bedingungen/manifest.htm> (საიტზე მიმართვის თარიღი - 18.06.2019)

⁷ ალექსი ერმოლოვი - 1777 წლის 4 ივნისს დაიბადა რუსეთში (მოსკოვი). 1816-1827 წლებში ეკავა კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობა. 1791 წლიდან მან დაიწყო სამსახური არმიაში. ის იყო პოლონეთთან ომის (1794), სპარსეთთან ლაშქრობის (1796), საფრანგეთთან ომის (1805-1807) და რუსეთის სამამულო ომის (1812) მონაწილე. კავკასიაში ერმოლოვი ატარებდა მკაცრ კოლონიზატორულ პოლიტიკას. ის ასევე ხელმძღვანელობდა ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობას. ა. გრიბოედოვის თქმით, კავკასიის მთიანეთში მას უწოდებდნენ „ღვთის რისხვას“. მან საქართველოში რამდენიმე რეფორმის გატარება სცადა, რათა გაეზარდა სახაზინო შმოსავალი. 1821 წელს დაანესა შეღავათიანი ტარიფი ევროპიდან ამიერკავკასიაში შემოტანილ საქონელზე და საეკლესიო რეფორმა, რასაც იმერეთ-გურიის მოსახლეობის აჯანყება მოჰყვა. ის ქართველებზე ნეგატიური აზრის იყო. 1827 წელს ერმოლოვი ნიკოლოზ I გადააყენა მთავარმართებლის თანამდებობიდან კავკასიაში გადასახლებული დეკაბრისტების მფარველობის გამო. <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00010117/> (საიტზე მიმართვის თარიღი - 18.05.2019).

გერმანელი ხელოსნების კოლონია კუკიაზე (1819), ალექსანდრესჰილფი (1842), ნაიდორფი (1884), გრანდენბერგი (1884), გეორგფელდი (1885), აიგენფელდი (1905), გროუნფელდი (1907) და ტრაუბენფელდი (1912) (მანჯგალაძე 1974:30-32).

დღეისათვის ჰაინრიხ რორბახერის მონაცემების მიხედვით მხოლოდ 18 კოლონია არის ცნობილი: ალექსანდრესჰილფი, ალექსანდრედორფი, ალექსეევკა, ბლუმენტალი, აიგენფელდი, ელიზავეტინკა, გეორგიევსკი, გეორგსფელდი, გეორგსტალი, ჰოფენგსტალი, პეტროვკა, შტაინფელდი, ტრაუბენფელდი, ვალდჰაიმი, ვიზენდორფი (შპრინგჰორნი 2004:27).

რუსეთის ხელისუფლება მაქსიმალურად ეხმარებოდა გერმანელ კოლონისტებს. უფასოდ უშენებდა სახლებს, უქმნიდა შესაბამის პირობებს, რომ ემუშავათ და აძლევდა მიწებს. 35 დესეტინა ერთ ოჯახზე იყო გათვლილი (მანჯგალაძე 1974:29). ამაში შედიოდა სახნავ-სათესი, საბალე და სავენახე ნაკვეთები. გერმანელ კოლონისტებს მიწები მემკვიდრეობით სარგებლობაში ჰქონდათ გადაცემული და არა საკუთრებაში. კოლონიას ასევე საერთო სარგებლობაში ჰქონდა გადაცემული საძოვრები, ტყეები და სათიბები.

თავდაპირველად გერმანელი კოლონისტები მეტად პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. იურიდიულად ისინი თავისუფალ გლეხებს უთანაბრდებოდნენ. ხელისუფლება ყოველმხრივ იცავდა მათ ინტერესებს და მათზე მიმაგრებული ზედამხედველი კოლონისტების ეკონომიკურ გაძლიერებასა და მათი პრივილეგირებული მდგომარეობის უზრუნველყოფას ემსახურებოდა (მანჯგალაძე 1974:50). XIX საუკუნის 70-იანი წლების რეფორმების შედეგად გერმანელ კოლონისტებს ჩამოერთვათ მთელი რიგი პრივილეგიები, გაუქმდა მათი თვითმმართველობა (სონლულაშვილი 1995:19). ისინი ვალდებულები გახდნენ სამხედრო სავალდებულო სამსახური მოეხადათ. გერმანელი სკოლები რუსულ ტიპურ სკოლებად გადააკეთეს. სწავლის დასასრულს ბავშვებს რუსული ისევე უნდა სცოდნოდათ, როგორც გერმანული, ანუ მშობლიური ენა (შპრინგჰორნი 2004:33). ენათმეცნიერი იური მოსიძე თავის გამოკვლევებში ამტკიცებს, რომ გერმანელი კოლონისტები მეორე ენას, რომელსაც მშობლიურის შემდეგ კარგად ფლობდნენ, იყო ქართული (Mosidze 1997:105-106).

XX საუკუნის დასაწყისამდე გერმანული კოლონიები კავკასიის სახელმწიფო უმაღლესი ხელისუფლების უშუალო დაქვემდებარებაში იყვნენ. ამ გარემოებას უკავშირებენ, რომ კოლონიები ეკონომიკურად ძალიან განვითარდნენ და ამ პერიოდში რამდენიმე უმსხვილესი მეურნეობაც გვხვდება, რომლებიც ეკუთვნოდა კუჩინბასს, ფორერს, ფოგელს და სხვ.⁸

უნდა აღნიშნოს, რომ გერმანული კოლონისტები კარჩაკეტილი ცხოვრებით გამოირჩეოდნენ და ერიდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტს. უდაოა ასევე ის გარემოებაც, რომ ისინი არ ცდილობდნენ საკუთარი ცოდნის და გამოცდილების ადგილობრივებისთვის გაზიარებას. იზოლირებულ კოლონიებში ყველა ერთმანეთის სისხლით ნათესავი ხდებოდა წლების განმავლობაში, რამაც შედეგად მთელი რიგი ანომალიები, ნერვული დაავადებები და დებილიზმის განვითარება მოუტანა (შპრინგჰორნი 2004:35).

რაც შეეხება ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ დამოკიდებულებას გერმანული კოლონიების პრივილეგირებული მდგომარეობის შესახებ, რაზეც ნაშრომის შესავალ ნაწილში უკვე გვექონდა საუბარი, ვფიქრობ, შეესაბამება მეორე მსოფლიო ომის დროს და შემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირში არსებულ ანტიგერმანულ დამოკიდებულებას. მაშინ როცა რუსეთის იმპერიის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ კოლონიზაციის პროცესს და მფარველობდნენ გერმანულ კოლონიებს, უზრუნველყოფდნენ მათ პრივილეგიებს, მეტ თავისუფლებას და არ იშურებდნენ მათთვის მატერიალურ მხარდაჭერას, არასწორია შევიძლოთ გერმანული კოლონისტები, რომლებიც ლოგიკურია თავის სასარგებლოდ იყენებდნენ და უარს არ ამბობდნენ ხელისუფალთა მხრიდან დახმარებაზე.

⁸<http://einung.org.ge/> (საიტზე მიმართვის თარიღი - 12.05.2019)

თავი 2.

„კაუკაზიშე პოსტი“ - ერთადერთი გერმანულენოვანი გაზეთი 1906-1922 წლებში

„კაუკაზიშე პოსტი“ წარმოადგენდა ერთადერთ გაზეთს, რომელიც საერთო იყო კავკასიელი გერმანელების ჯგუფისთვის ჩრდილო კავკასიის, საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ფარგლებში. პირველი მსოფლიო ომის დროს მისი გამოცემა დროებით შეწყდა 1918 წლამდე. 1918 წლის 18 თებერვალს მისი გამოცემა განახლდა. საქართველოს გასაბჭოების გამო 1922 წელს მისი გამოცემა ხელახლა შეჩერდა, რაც მოგვიანებით ისევ განახლდა.

აღნიშნული გაზეთის დაარსების საკითხი ძალიან საინტერესოა. 1906 წლის 18 ივნისს მისი პირველი გამოცემა კურტ კუჩენბახის სახელს უკავშირდება. „კაუკაზიშე პოსტს“ 1906 წლიდან წელნახევარი ცნობილი გერმანელი და საქართველოს დიდი მეგობარი, არტურ ლაისტი რედაქტორობდა.⁹ უცნობია, კუჩენბახს სახელწოდებრივ დონეზე ჰქონდა თუ არა რაიმე ხელშეწყობა გაზეთის გამოცემის საქმეში. აღნიშნული საკითხის გარკვევა უნდა მოხდეს შემდეგი მიმართულებით:

1. იყო თუ არა „კაუკაზიშე პოსტის“ გამოცემა კურტ კუჩენბახის პირადი ინიციატივა, რომელსაც ხელს უწყობდნენ კავკასიის და კერძოდ, საქართველოს ეკონომიკური პოტენციალით დაინტერესებული სხვა გერმანელები, ხოლო მოგვიანებით პირველი მსოფლიო ომის ბოლო ეტაპზე უკვე გერმანიის პოლიტიკური წრეები „კაუკაზიშე

⁹ არტურ ლაისტი (1852-1927) – დაიბადა პოლონეთში, ქალაქ ბრესლაუში. ამ ქალაქში დაამთავრა უნივერსიტეტი. 22 წლის ასაკში კი დაიწყო ჟურნალისტური საქმიანობა. მუშაობდა პოლონური გაზეთებისთვის. 1881 წელს გაიცნო ბოდენშტედტი და მისი ნაამბობიდან გამომდინარე, ინტერესი გაუჩნდა საქართველოს მიმართ. მან შეისწავლა ქართული ენა, დაუკავშირდა ქართველ ელიტას, ნ.ნიკოლაძეს, დ. ერისთავს, ი.ჭავჭავაძეს, ი. მეუნარგიას. 1884 წელს მან ერთი თვე გაატარა საქართველოში ილია ჭავჭავაძის მონვევით. 1885 წელს საქართველოში ხელახალი სტუმრობისას მან დაიწყო ვეფხისტყაოსანის გერმანულ ენაზე თარგმა, ამაში მას ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი ეხმარებოდნენ. 1892 წლიდან არტურ ლაისტი საქართველოში დამკვიდრდა. 1904 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ქართველი ხალხი“, რომელიც ძალიან პოპულარული გახდა და მრავალ ევროპულ ენაზე ითარგმნა. მას ეკუთვნის არაერთი მოთხრობა და რომანი. 1918 წლელს ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიწვიეს გერმანულის ლექტორად. <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00007538/> (საიტზე მიმართვის თარიღი - 18.06.2019)

პოსტიტ” დაინტერესდნენ. აღნიშნული გაზეთი გერმანიის პოლიტიკის საყრდენი გახდა კავკასიაში.

2. იყო თუ არა გერმანიის სახელმწიფო თავიდანვე გაზეთით დაინტერესებული და ხელშემწყობი და იყო თუ არა გაზეთის განახლებული გამოცემა სახელმწიფო ინიციატივა?

1906 წელს გაზეთ “კაუკაზიშე პოსტის” გამოცემაში გერმანიის სახელმწიფოებრივი როლი რომც არ ყოფილიყო, უდაოა რომ 1918 წლიდან გერმანიის პოლიტიკური წრეები აუცილებლად უნდა დაინტერესებულიყვნენ აღნიშნული გაზეთით და მისი მნიშვნელობით. გაზეთის განახლებულ გამოცემაში პოლიტიკური სტატიების სიმრავლე ამის ერთ-ერთი მაჩვენებელია. მეცნიერების პ.გუგუშვილის და გ. მანჯგალაძის კატეგორიული მტკიცება, რომ გერმანელი კოლონისტები წარმოადგენდნენ გერმანიის აგენტებს და ჯაშუშებს, ხოლო თბილისის საკონსულო შულენბურგის ხელმძღვანელობით¹⁰ მათი ბუდე იყო, გაზვიადებულად, ნაკლებად არგუმენტირებულად და ანტიგერმანული განწყობის პირობებში დაწერილად მიმაჩნია, თუმცა ჩემის მხრივ არ უარვყოფ მოსაზრებას, რომ გერმანელი კოლონისტები პირველი მსოფლიო ომის დროს ემსახურებოდნენ გერმანული პოლიტიკის პოპულარიზაციას კავკასიაში. ვეცდებით ამის არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე ჩვენებას.

მნიშვნელოვანია გაზეთის დაფინანსების საკითხიც. თუკი ომის დაწყება გახდა მიზეზი იმისა, რომ გაზეთის გამოქვეყნება შეჩერებულიყო, მაშინ რატომ გახდა აუცილებელი 1918 წელს, ანუ გამოცემის შეწყვეტიდან 4 წლის შემდეგ, მისი განახლება, მითუმეტეს რომ ომის დასასრულს ეკონომიკური მდგომარეობა 1914 წელთან შედარებით ბევრად გაუარესებული იყო?

1918 წლის 18 თებერვალს გამოქვეყნდა გაზეთის პირველი განახლებული ნომერი, სადაც არის მიმართვა გერმანელების მიმართ, რომ მათ უნდა ეყიდათ გაზეთი,

¹⁰ ფრიდრიხ-ვერნერ ფონ შულენბურგი - დაიბადა 1875 წლის 20 ნოემბერს. ის იყო გერმანიის კონსული თბილისში 1911 წლიდან პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, 1918 წელს, როცა საქართველოში გერმანიის სამშვიდობო მისია კრესენშტეინის ხელმძღვანელობით იმყოფებოდა, ის გერმანიის დელეგაციის წევრი იყო. შულენბურგი ელჩის მოვალეობას ასრულებდა 1931-1934 წლებში ბუქარესტში, 1934-1941 წლებში კი - მოსკოვში. 1944 წლის 10 ნოემბერს ის სიკვდილით დასაჯეს. იხ.: Wörterbuch zur Deutschen Geschichte 1975: 2563.

წინააღმდეგ შემთხვევაში იქცეოდნენ ისევ „მუნჯებად“, როგორც აღრე. ვინაიდან გაზეთი არც ისე ძვირი იყო, 1000 აბონენტი უნდა მოძებნილიყო გერმანელებს შორის. ეს წარმოადგენდა ტიპურ რეკლამას, რომელიც პირველი ნომრის გარდა, დაიბეჭდა მეორე და მესამე ნომრებშიც. მესამე ნომერში, აღნიშნული მიმართვა, გაზეთის ბოლო გვერდზე დაბეჭდილი. 1918 წლის 1 მარტიდან მსგავსი რეკლამა გაქრა გაზეთის ფურცლებიდან.

მეცხრე ნომრის მეორე და მესამე გვერდზე დაიბეჭდა სტატია: „გვჭირდება კი გაზეთი?“. სტატიის შინაარსიდან გამომდინარე უდაოა, რომ ათასი აბონენტი „კაუკაზიმე პოსტისთვის“ ვერ მოიძებნა. აქედან გამომდინარე, სტატიაში ბევრ პატრიოტულ მოწოდებას ვხვდებით. შემთხვევით არ გამისვამს ზევით ხაზი, რომ გაზეთის მესამე ნომერში რეკლამა პირველი გვერდის ნაცვლად ბოლო გვერდზე იყო დაბეჭდილი. მეცხრე ნომერში გამოქვეყნებული სტატია, რომელიც გაზეთის არსებობა-არარსებობის საკითხის გარკვევას მიეძღვნა, ასევე გაზეთის პირველ გვერდზე კი არა, სადღაც შუაში დაიბეჭდა, ისეთი სტატიების შემდეგ, როგორცაა „დრო იცვლება“, „ჩვენი სკოლის შესახებ“, „ქვეყნის შიგნით“, „გერმანელების ცხოვრებიდან“. აქედან გამომდინარე, გამოვთქვამ ჩემს ფრთხილ ვარაუდს, რომ 1918 წლის 1 მარტიდან შესაძლებელია გაზეთის რედაქცია გერმანიის სახელმწიფოსგან მატერიალურ დახმარებას იღებდა. საფიქრებელია, რომ ამიტომაც გაქრა მესამე ნომრის შემდეგ გაზეთის დაფინანსებასთან დაკავშირებული რეკლამა „კაუკაზიმე პოსტის“ ფურცლებიდან და სტატია „გვჭირდება კი გაზეთი?“ გაზეთის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად.

ფაქტია, რომ გერმანული ჯარებიც აქტიურად უწყობდნენ ხელს გაზეთის გამოცემას, რასაც თავად ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინიც ადასტურებს თავის მოგონებებში:

“ერთადერთი გერმანული გაზეთი, რომელიც ტიფლისში გამოდიოდა, მეტად პოპულარული იყო გერმანელ ოფიცრებისა და ჩინოვნიკების შორის. გაზეთის ზოგიერთი თანამშრომელი, განსაკუთრებით კი ასოთამწყობები გერმანული ჯარიდან იყვნენ. ისინი ინტენსიურად მუშაობდნენ, რათა გაზეთი ხშირად გამოცემულიყო” [Meine Mission... 2001: 49].

გერმანული სამხედრო-დიპლომატიური მისია კრესენშტაინის ხელმძღვანელობით საქართველოში გერმანიის იმპერიის დიპლომატიური და სამხედრო დეპარტამენტების

ერთობლივი გადაწყვეტილებით გამოიგზავნა და ეს ნიშნავს, რომ კრესენშტაინის და მისი ჯარისკაცების ხელშეწყობა გაზეთის გამოცემის საქმეში სახელმწიფო დონეზე იყო გადაწყვეტილი და კრესენშტაინის პირად ინიციატივას არ წარმოადგენდა. უფრო მეტიც, გენ. კრესენშტაინი პირდაპირ წერს თავის მოგონებებში, რომ საქართველოში გამომგზავრების წინ მან გენ. ლუდენდორფს თხოვა, რომ კავკასიაში არსებული ყველა გერმანული ორგანო უშუალოდ მას როგორც სამშვიდობო მისიის ხელმძღვანელს დაქვემდებარებოდა, რაზეც მან თანხმობა მიიღო [Meine Mission... 2001: 31].

რამდენადაც ცნობილია, გერმანიაში არსებობდა იდეა, რომ სამხრეთ კავკასია იმპერიის კოლონიად ქცეულიყო.

“ამასთან საუკუნეების განმავლობაში ადგილობრივმა გერმანელებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ გერმანიის სურვილების ასრულებისა და ადგილობრივ ეკონომიკაზე კონტროლის დამყარების მიზნით” [W. Zürrer 1978: 57].

საქართველოს არქივში დაცული გერმანული დოკუმენტების ფონდში ინახება 1918 წლის ივლისის მოხსენება გერმანიის მთავრობისადმი, სადაც წერია, რომ საჭიროა ასევე ისე მონყობილიყო შავი ზღვის ნავსადგურები, რომლებიც იქნებოდა გერმანული გავლენის ქვეშ. ასეთივე სახით უნდა შექმნილიყო ახალი პერიოდული გამოცემები და რეორგანიზაცია განეცადა არსებულ პრესას. ამჟამად ასეთი მხოლოდ „კაუკაზიშე პოსტი“ არის, რომელიც გერმანულ ენაზე გამოდის, - ნათქვამი იყო მოხსენებაში.¹¹

კითხვაზე, თუ რატომ განახლდა „კაუკაზიშე პოსტის“ გამოცემა, რამდენიმე საფუძველი შეიძლება მოვიტანოთ. ამათგან ერთ-ერთი არის რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ცვლილება გერმანელი კოლონისტების მიმართ, რომელიც სულ უფრო და უფრო აგრესიული გახდა. „კაუკაზიშე პოსტი“ და კრესენშტაინი თანხმდებიან, რომ გერმანელი კოლონისტები პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში ძალიან დიდ ზეწოლას განიცდიდნენ და მათი შევიწროება ხდებოდა. კრესენშტაინი პირდაპირ წერდა:

„მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი კოლონისტები რუსეთის სამეფო ხელისუფლების კარგი მსახურები იყვნენ და ბევრი მათი ვაჟი რუსულ ჯარში მსახურობდა,

¹¹ საქართველოს არქივი, გერმანული დოკუმენტების პირთა კოლექცია, 2107, №140, გვ.10.

ომის დასაწყისში საგრძნობი ვახდა მათ მიმართ ზიზღი და სიძულვილი. ბევრი პატიოსანი და ღირსეული კოლონისტი ამის გამო ციხეშიც კი მოხვდა ან ციმბირში გადაასახლეს. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, გერმანელებში გაძლიერდა სურვილი, კულტურული და ეკონომიკური კავშირები დაემყარებინათ მშობლიურ გერმანიასთან “[Meine Mission... 2001: 49].

გერმანელი კოლონისტების არაერთგზის შევიწროებაზე საუბრობს „კაუკაზიშე პოსტი“ და დასძენს, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეშვათ უკან დაბრუნება და უნდა ებრძოლათ, რათა მეფის რუსეთის ხელისუფლება უკან არ დაბრუნებულიყო.¹²

გერმანელ კოლონისტებს ფაქტობრივად სხვა შესაძლებლობა არ ჰქონდათ, გარდა იმისა, რომ ეზრუნათ რევოლუციის მონაპოვარის შენაჩუნებისთვის და ებრძოლათ მეფის რუსეთის წინააღმდეგ. გერმანიას, კავკასიის გერმანელ კოლონისტებთან, ძალიან მარტივად შეეძლო კავშირის დამყარება:

1. კოლონისტებს გერმანული ფესვები ჰქონდათ, რითაც სულ ამაყოფნენ და მაქსიმალურად უფროთხილდებოდნენ. გერმანია იყო და იქნებოდა მათთვის მუდამ ნათესავი ქვეყანა, განსხვავებით ინგლისის ან სხვა ქვეყნებისგან.

2. კოლონისტებს არ სურდათ მეფის ხელისუფლება რუსეთში. გერმანიისთვისაც მისაღები იყო რუსეთის რევოლუციური მოძრაობა, რომელიც რუსეთის პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობის წინააღმდეგ გამოდიოდა.

გაზეთი „კაუკაზიშე პოსტი“ აუცილებლად შესაბამისად უნდა იქნეს გამოკვლეული. მასში ბევრია ჟურნალისტური შეფასებები, პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოვლენების ანალიზი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია 1918-1922 წლებში კავკასიის პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებით გამოსაკვლევად. აღნიშნული გაზეთი საინტერესო მასალას შეიცავს ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებების შესახებ. მოცემულ მასალაზე დაყრდნობით საფიქრებელია, როგორი რთული იყო ამიერკავკასიისთვის ლოდინის რეჟიმში ყოფნა, როცა სხვები წყვეტდნენ მის ბედს.

¹² Der 27. Februar 1917, In: Kaukasische Post, Nr. 3/1918, S. 1.

თავი 3.

გაზეთ „კაუკაზიშე პოსტის“ სტატიების უცნობი ავტორის იდენტიფიკაციის საკითხი

გაზეთ „კაუკაზიშე პოსტის“ რამდენიმე გამოცემაში (Nr. 1, 3, 8, 11, 15) გამოქვეყნდა სტატიები, რომლებსაც დასასრულს თან ახლავს ავტორის სახელის და გვარის აბრევიატურა „L.R“. გაზეთის მესამე ნომერში გვხვდება ორი სტატია. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს ახლავს მსგავსი შემოკლებები. განსაკუთრებით ისეთ სტატიებს, სადაც გარკვეული პოლიტიკური თუ ეკონომიკური საკითხის ანალიზია მოცემული და სტატია არ შეიცავს მხოლოდ ნარატიულ თხრობას. აქვე გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ აღნიშნული 6 სტატიის ავტორი როზა ლუქსემბურგი (L-ლუქსემბურგი, R-როზა) შეიძლება ყოფილიყო.¹³ ჩემი მოსაზრების განსამტკიცებლად მოვიყვან რამდენიმე არგუმენტს:

1. როზა ლუქსემბურგი ყოველდღიურად მუშაობდა ბიბლიოთეკებში და წერდა ინტენსიურად არაერთ ანონიმურ სტატიას გასამრჯელოს სანაცვლოდ სოციალ-დემოკრატიული პარტიის სხვადასხვა პერიოდული გამოცემისთვის მსოფლიოში მნიშვნელოვან ეკონომიკურ და ტექნიკურ განვითარებაზე. ამის გამო 1898 წლის დეკემბრიდან მას პოლიცია საიდუმლოდ აკონტროლებდა (A. Laschitza, 1996:107-119).

¹³ გერმანელი პოლიტიკოსი (1871-1919). დაიბადა პოლონეთში. 1880 წლიდან სწავლობდა ვარშავის გიმნაზიაში. 18 წლის ასაკში გაიქცა შვეიცარიაში, რადგან გამოვლინდა მისი არალეგალური პოლიტიკური მოღვაწეობა. 1893 წელს პარიზში დააფუძნა სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „მუშების საქმე“. ერთი წლის შემდეგ კი ოფიციალურად შეუერთდა პოლონეთის სამეფოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ვარშავაში. 1897 წელს ხარისხს იცავს ციურიხში. 1898-1903 წლებში დაქორწინდა გერმანელ გუსტავ ლიუბეკზე, რათა მიეღო გერმანიის მოქალაქეობა და ჩართულიყო გერმანელი მუშების მოძრაობაში. ის დასახლდა ბერლინში და შევიდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (SPD) შემადგენლობაში. აქვეყნებდა ბევრ სტატიას ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე. 1904 წელს იმპერატორის შეურაცხყოფისთვის 3 თვით დააპატიმრეს. შემდეგ წლებში ის არაერთხელ დააპატიმრეს სხვადასხვა აქტივობების გამო, თვით სახელმწიფო ღალატის ბრალდებითაც კი. 1918 წლის 9 ნოემბერს ის ბრესლაუს საპატიმროდან გაანთავისუფლეს და მუშაობას შეუდგა „წითელი ალამისთვის“, რომელიც იყო სპარტაკის კავშირის ყურნალი ბერლინში. 1919 წლის 15 იანვარს თავის თანამებრძოლ, სპარტაკელ კარლ ლიბკნეხტთან ერთად შეიპყრეს, სასტუმრო „ედენში“ დაკითხეს, აწამეს და მოკლეს. <https://www.dhm.de/lemo/biografie/rosa-luxemburg> (საიტზე მიმართვის თარიღი / 18.05.2019)

2. ავტორი არის რევოლუციონერი, რევოლუციური მოძრაობის გულმხურვალე მხარდამჭერი. ის აღფრთოვანებულია რუსეთის რევოლუციით და პროპაგანდას უწევს რევოლუციურ იდეებს. გაზეთის სტატიების ავტორი თავისი პათეტიკური სტილით ძალიან ჰგავს როზა ლუქსემბურგს:

“ერთი წლის წინ, 1917 წლის 27 თებერვალს, პირველად ისტორიაში განსაკუთრებულ მოძრაობაში მოიყვანა თავისუფლების ანგელოზმა რუსეთის ძლიერი იმპერიის ხალხები. გაუმარჯოს რევოლუციას! გაუმარჯოს თანასწორობას, თავისუფლებას და ძმობას ადამიანებს შორის!”¹⁴

ცხადია შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ გაზეთი რევოლუციური სულისკვეთების მატარებელია. “კაუკაზიშე პოსტის” 1918 წლის განახლებული გამოცემის პირველი ნომრის პირველი სტატიის ბოლოს ზუსტად აღნიშნულ შემოკლებას ვხვდებით. ეს შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. ყველა ადამიანს არ მიეცემოდა შანსი, “კაუკაზიშე პოსტის” განახლებული, ძალიან მნიშვნელოვანი გამოცემის, პირველი სტატიის ავტორი გამხდარიყო. ის გარემოებაც გასათვალისწინებელია, რომ ოთხივე სტატია გაზეთის პირველ გვერდებზე მთავარ სტატიებად იქნა გამოქვეყნებული:

„ამ მხრივ მკაცრად უნდა განვსხვავდებოდეთ ჩვენი წინაპრისგან (ქალი - ქ.დ.), რომლისგანაც სამწუხაროდ მხოლოდ მისი სახელი დაგვრჩა მემკვიდრეობად: არ გვსურს ვიყოთ მხოლოდ მაყურებლის როლში, არამედ მონაწილენი სახელმწიფო ცხოვრების! ეს არის ადამიანების და მოქალაქეების ვალდებულება, ეს არის ვალდებულება ყოველი ჩვენთაგანის, რომ ყველამ ჩვენი წილი გავაკეთოთ. პოლიტიკური აქტიურობა!”¹⁵

მინდა ერთი პატარა მონაკვეთი მოვიყვანო როზა ლუქსემბურგის ნაშრომიდან, რომელიც რუსეთის რევოლუციას მიუძღვნა. ასე ორი ტექსტის შედარებითი ანალიზი მარტივადაა შესაძლებელი:

„დიქტატურა უნდა დაამყაროს კლასმა და არა პატარა მმართველმა ჯგუფმა კლასის სახელით. ეს ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს ნაბიჯ-ნაბიჯ მასების გააქტიურების

¹⁴ Der 27. Februar 1917, In: Kaukasische Post, Nr. 3/1918, S. 1.

¹⁵ Unsere Zeitung, In: Kaukasische Post, Nr. 1/1918, S. 1.

ხელშეწყობა აღნიშნული ჯგუფის მიერ, ხალხისთვის პოლიტიკური განათლების მიცემა”
[R. Luxemburg 1922: 116].

გასათვალისწინებელია, რომ:

✓ შემთხვევითი არც ის ფაქტი უნდა იყოს, რომ ის იდეურ წინაპარ ქალზე საუბრობს და არა კაცზე. გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ ამ ქალში ის საკუთარ თავს მოიაზრებდა.

✓ საინტერესოა ზემოთ მოყვანილ ორ მონაკვეთს შორის არსებული განსხვავება. პირველი ტექსტი, რომელიც „კაუკაზიშე პოსტის” პირველ ნომერში გამოქვეყნდა, პროპაგანდისტური შინაარსისაა, განსხვავებით რობა ლუქსემბურგის ნაშრომისგან, რომელიც მან 1918 წელს ციხეში დაწერა თანამებრძოლის და მეგობრის პაულ ლევის დასარწმუნებლად, რომ ბოლშევიკებს არასწორი მიმართულება ჰქონდათ არჩეული და ეს ნამდვილ რევოლუციას ეწინააღმდეგებოდა. გასაგებია, რომ ეს ტექსტი შესაბამისად რთული ენითაა დაწერილი.

3. „კაუკაზიშე პოსტის” მესამე ნომერში გამოქვეყნებული სტატიის ერთი ნაწყვეტი განსაკუთრებით საინტერესოა:

„ბევრი მწარედ იმედგაცრუებულია რევოლუციით. განსაკუთრებით კი რუსული წრეები. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი, რომ ყველამ თავისი იმედები რევოლუციას დაუკავშირა და მეორე, რადგან ყურადღების მიღმა ის ფაქტი, რომ ახალი სიცოცხლის წარმოშობა ბუნების კანონის მიხედვით შობის ტკივილების თანხლებით ხდება.

შეუძლებელია ერთდროულად გამარჯვებაც და ზავის დადებაც. შეუძლებელია ერთდროულად ძველი შენობის დაგრევა და იმ წამს იგივე ადგილას ახლის აშენება.

მილიუკოვი, კერენსკი-წერეთელი, ლენინი მცირედ თუ მეტად უშვებდნენ შეცდომებს, ამ ყველაფერს ისტორია განსჯის. ის ვინც არაფერს აკეთებს, არც შეცდომას უშვებს. დღეს 1918 წლის 27 თებერვალს, ერთი წლის შემდეგ, როცა გამოჩნდა ნამდვილი თავისუფლების ნაპერწკალი, უნდა ვალიაროთ, რომ ჩვენ ვდგავართ ისევ აღთქმული ქვეყნის კარიბჭესთან, ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს გემო იმისა, თუ როგორია ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი თავისუფლება და თანასწორობა. არავითარ შემთხვევაში უკან მეფის

ხელისუფლების გადასარჩენად! წადი წინ რევოლუციავ, ბუნების თავისუფალო ქალიშვილო!”¹⁶

საინტერესოა, რას წერდა როზა ლუქსემბურგი:

„ბოლშევიკებმა აჩვენეს, რომ მათ ყველაფერი შეუძლიათ, რისი მიღწევაც შეიძლება ისტორიული შესაძლებლობების ფარგლებში. ისინი ვერ მოახდენდნენ სასწაულს. ლენინი, ტროცკი და მისი მეგობრები იყვნენ პირველები. ისინი იყვნენ ერთადერთები, რომლებსაც შეუძლიათ ამაყად შემოსძახონ: მე ეს გავბედე!

ეს არის არსებითი და დასამახსოვრებელი ბოლშევიკების პოლიტიკიდან. ამ მხრივ მათი უდიდესი დამსახურება ისტორიული მნიშვნელობისაა. მათ შეძლეს ძალაუფლების მოპოვება და პრობლემის პრაქტიკული წამოჭრა, სოციალისტური იდეების განსახორციელებლად. რუსეთში მხოლოდ პრობლემის წამოჭრა შეიძლებოდა, რომელიც ვერ გადაიჭრებოდა რუსეთში. ამ მხრივ მომავალში მომავალი ბოლშევიზმს ეკუთვნის” [R. Luxemburg 1922: 119-120].

აღნიშნული მონაკვეთების შედარების შედეგად, თვალშისაცემია პოზიციური მსგავსება ორივე ავტორს შორის, რაც ბოლშევიკების დამსახურების შეფასებას, რევოლუციის მომავლის და პერსპექტივების განსაზღვრას უკავშირდება. შესაბამისად, უპრიანი არ უნდა იყოს მტკიცება, რომ ორივე ტექსტი ერთი ავტორის მიერ იყოს დაწერილი.

4. „კაუკაზიშე პოსტის” მესამე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში, წარმოდგენლია ლენინის და მისი მოწინააღმდეგეების დაპირისპირების შეფასება, რაც ემთხვევა როზა ლუქსემბურგის შეფასებას თავის ნაშრომში, რომელიც რუსეთის რევოლუციას მიუძღვნა. ის ამ დაპირისპირებას ახასიათებს როგორც იმპერიალიზმს.

გაზეთში ვკითხულობთ:

„იმპერიალისტურად განწყობილი რუსული პოლიტიკური წრეები რევოლუციის შემდეგ იმ აზრის ემხრობოდნენ, რომ მეფის ხელისუფლების ხელში რუსეთი გერმანიას ვერ დაამარცხებდა (с ЭТИМ ПРАВИТЕЛЬСТВОМ МЫ НЕ ПОБЕДИМ - ამბობდა მილიუკოვი

¹⁶ Der 27. Februar 1917, In: Kaukasische Post, Nr. 3/1918, S. 1.

იმპერიის დუმის სხდომაზე რევოლუციამდე 10 დღით ადრე), და რევოლუცია რუსეთს ომში რევანშის აღების საშუალებას მისცემდა. თუმცა დაღლილი ჯარისკაცი ამავდროულად მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ რევოლუცია მის დიდ გულითად სურვილს შეასრულებდა და მალე ზავი დაიდებოდა. მთელი ქვეყანა იმედს გამოთქვამდა, რომ რეფორმებთან ერთად, დარეგულირდებოდა მოსახლეობის საკვებით მომარაგების სახელმწიფოებრივი პოლიტიკა”.¹⁷

როზა ლუქსემბურგი თავის ნაშრომში „რუსეთის რევოლუცია” წერს:

„იმადროულად რევოლუციამ გაამძაფრა ჯარის და გლეხების რიგებში მოთხოვნა, დაუყოვნებლივ დადებულიყო ზავი. ზავის დადების საკითხმა რევოლუციის შიგნით აზრთა გაყოფა გამოიწვია. დაუყოვნებლივ ზავის დადების მოთხოვნა მწვავედ ენინააღმდეგებოდა ლიბერალი ბურჟუაზიის იმპერიალისტური წრის პოზიციას, რომლის წინამძღოლი მილიუკოვი იყო” [R. Luxemburg 1922: 87-88].

5.1918 წლის 28 მარტს „კაუკაზიშე პოსტის” ფურცლებზე ეს უცნობი ავტორი წერდა სტატიას, რომელშიც ერთ ანტიბოლშევიკურ ნაწყვეტს ვხვდებით:

„ახლა გვიახლოვდებიან ბოლშევიკები. მაგრამ ისინი მოდიან არა როგორც სოციალ-დემოკრატიული, არამედ დამპყრობი პარტია”.

ჰაულ ლევიმ 1922 წელს გამოაქვეყნა როზა ლუქსემბურგის ნაშრომი „რუსეთის რევოლუცია”, რომელსაც წინ უძღვის მის მიერ დანერილი წინასიტყვაობა. ის წერდა ასევე ანტიბოლშევიკურ გამწყობის შესახებ, რაც როზა ლუქსემბურგს ჰქონდა:

„1918 წლის ზაფხულში როზა ლუქსემბურგმა დანერა სტატიები „სპარტაკის წერილებისთვის” ბრესლაუს საპრობილეში, რომელშიც ის კრიტიკულადაა განწყობილი ბოლშევიკების პოლიტიკის მიმართ. ეს იყო ბრესტ-ლიტოვსკის შემდგომი პერიოდი, როცა დამატებით იდებოდა ხელშეკრულებები. მისი მეგობრები ამ ყველაფრის გამოქვეყნების წინააღმდეგ იყვნენ და მეც მათ დავეჭირე მხარი. იქედან გამომდინარე, რომ როზა ლუქსემბურგმა სტატიების გამოქვეყნება დაიწყო, 1918 წლის სექტემბერში მასთან ბრესლაუს ციხეში გავემგზავრე. ხანგრძლივმა დანვრილებით საუბარმა ციხეში

¹⁷ Der 27. Februar 1917, In: Kaukasische Post, Nr. 3/1918, S. 1.

დამანახა, რომ სტატიები სწორედ ბოლშევიკების ტაქტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული და მათთან დისტანციის დაჭერაზე” [R. Luxemburg 1922: 87-88].

6. „კაუკაზიშე პოსტის“ სტატიებში ქართველებს ავტორი იხსენიებს როგორც „გრუზინებს“. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ავტორი სტატიების დაწერამდე ეცნობოდა რუსულენოვან ლიტერატურას.

აქვე საინტერესოა ის ფაქტიც, რასაც პაულ ლევი ადასტურებდა, რომ როზა ლუქსემბურგი თავისი სტატიების წერისას სარგებლობდა არა მხოლოდ გერმანული გაზეთებით, არამედ იმავდროულად რუსული გაზეთებითა და ბროშურებით. რუსულენოვანი მასალა რუსეთის დიპლომატიის მიერ გერმანიაში ჩამოდიოდა, რასაც როზა ლუქსემბურგი სანდო და დაახლოებული მეგობრების დახმარებით ციხეში იღებდა [R. Luxemburg 1922: 4].

7. გაზეთის სტატიებში ყურადღებას იქცევს რამდენიმე ქალური ვერბალური შედარება, როგორცაა „ახალი ცხოვრება ბუნების კანონის მიხედვით შობის ტკივილების თანხლებით იბადება“, „წინ გაიჭერი რევოლუციავ, ბუნების თავისუფალო ქალიშვილო“. ეს შედარებები გადაჭრით არაფერს ამტკიცებს, თუმცა შეიძლება ერთ-ერთ არგუმენტად მოვიყვანოთ, როცა სტატიების ავტორად როზა ლუქსემბურგს მოვიაზრებთ. ადამიანური მომენტი, როცა ადამიანი მსჯელობისას იყენებს იმ შედარებებს, რაც მისთვის ახლოა და ნაცნობია.

8. ამ აბრევიატურით “L.R” 1919 წლიდან, მე-11 ნომრის შემდეგ, სტატია აღარ გამოქვეყნებულა. საგულისხმო ფაქტია, რომ როზა ლუქსემბურგი 1919 წლის 15 იანვარს გარდაიცვალა.

მართალია რთულია, გადაჭრით და კატეგორიულად მტკიცება, რომ როზა ლუქსემბურგი სტატიებს აქვეყნებდა „კაუკაზიშე პოსტში“, თუმცა ზემოთ მოყვანილი არგუმენტების გათვალისწინებით არ არის გამორიცხული. მას საკმარისი დრო ჰქონდა ციხეში ამ მიმართულებით ემუშავა. გარდა ამისა, როგორც უკვე ვახსენეთ, მას ჰყავდა სანდო მეგობრები, რომლებიც მას სხვადასხვა სახის მასალით ამარაგებდნენ. სწორედ მათ იზრუნეს მისი ნაშრომების გამოცემასა და სტატიების გავრცელებაზე, შესაბამისად

„კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებზე როზა ლუქსემბურგის სტატიების გამოქვეყნება სრულიად რეალურ ფაქტად მიგვაჩნია.

თავი 4.

„კაუკაზიშე პოსტი“ ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებების შესახებ

§4.1. საზავო ხელშეკრულების 4 პუნქტის ცვლილება

1917 წლის ნოემბერში ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ცენტრალურ სახელმწიფოებს ანუ გერმანია-ავსტრია-უნგრეთსა და რუსეთს შორის ხელშეკრულების გასაფორმებლად. ბრესტ-ლიტოვსკში გამართული მოლაპარაკებები ორ მხარეს შორის, 3 ძირითად ფაზად იყოფა:

1. 22-28 დეკემბერს მიმდინარეობდა ზოგადი დისკუსია, რისი საშუალებით ორივე მხარემ ერთმანეთის სურვილების, განზრახვებისა და მოლოდინების შესახებ გაიგო.

2. 1918 წლის 8 თებერვლიდან 10 თებერვლის ჩათვლით ჩატარდა 70 სხდომა, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდნენ მოლაპარაკების პროცესში.

3. 1918 წლის 1 მარტიდან 3 მარტამდე აღინიშნება ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებების მესამე და უკანასკნელი ფაზა. 3 მარტს უკვე ხელი მოეწერა ხელშეკრულებას (W. Baumgart 1966: 16).

ზოგადად, რევოლუცია დაკავშირებულია ქაოსთან და არეულობასთან. სამხრეთ კავკასიაც რუსეთის იმპერიაში მიმდინარე მოვლენების ფონზე გარკვეულმა დაბნეულობამ

მოიცვა, რაც გაურკვეველი და მუდმივად ცვალებადი საგარეო პოლიტიკური კლიმატის ფონზე გასაგებიცაა. 1917 წლის 28 ნოემბერს შეიქმნა ამიერკავკასიის დროებითი მთავრობა, ამიერკავკასიის კომისარიატი, სადაც არ შევიდნენ ბოლშევიკები. აღნიშნული სახელისუფლებო ორგანოს თავმჯდომარედ სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორი აირჩიეს (D. Paitschadze 2001: 16). ამიერკავკასიის კომისარიატმა 1918 წლის 10 თებერვალს მოიწვია ამიერკავკასიის სეიმი, რომელმაც ამავე წლის 22 აპრილის შეკრებაზე გადაწყვიტა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება. ამიერკავკასიის რესპუბლიკამ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე იარსება და 1918 წლის 26 მაისს ოფიციალურად არსებობა შეწყვიტა. ამგვარად, მიუხედავად პირველ ეროვნულ ყრილობაზე ნოე ჟორდანიას მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის დამტკიცებისა, რომელიც ითვალისწინებდა საგარეო პოლიტიკურად რუსული ორიენტაციის შენარჩუნებას და „რუსულ წიაღში“ დარჩენას, 1918 წლის იანვარში ბოლშევიკების მიერ დამფუძნებელი კრების დათხოვიდან გამომდინარე, ქართულ პოლიტიკურ წრეებში შემუშავდა ახალი პოლიტიკური კურსი. შესაბამისად, შეიქმნა კიდევ არაორგანული, ხელოვნური ამიერკავკასიური პოლიტიკური ორგანიზაცია, ამიერკავკასიის რესპუბლიკის სახით (საქართველოს ისტორია 2003:55).

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციით წახალისებულმა თურქეთმა 1918 წლის აპრილში, ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკებების ქართული მხარის მიერ შეწყვეტის შემდეგ, თავისუფლად განაგრძო ამიერკავკასიის სიღრმეში შეღწევა, უფრო ზუსტად კი საქართველოს მთელი რიგი ტერიტორიების დაკავებას. 1918 წლის 15-21 აპრილს თურქეთმა დაიკავა ბათუმი, ოზურგეთი, ახალციხე, ახალქალაქი და ქართულმა მხარემ მისი შეჩერება მხოლოდ მდ. ჩოლოქზე შეძლო (საქართველოს ისტორია 2003:54).

რუსეთი თავადაც ურთულეს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკურ ვითარებაში იმყოფებოდა, შესაბამისად, საკუთარი თავის დაცვაც კი უჭირდა, არათუ კავკასიაში დაეცვა ვინმე. საქართველომ ოფიციალურად ორიენტაცია აიღო გერმანიაზე, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო გენ. ფონ ლოსოვის სახით ბათუმში გამართულ მოლაპარაკებებში ქართულ და თურქულ მხარეებს შორის. 1918 წლის 11 მაისს ბათუმში დაწყებული საზავო მოლაპარაკება დასრულდა 26 მაისს ამიერკავკასიის რესპუბლიკის

დაშლით და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით, რაც გერმანული მხარის წაქეზებით მოხდა. სავსებით სწორია კონცეფცია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება საგარეო პოლიტიკურ ფაქტორთან იყო დაკავშირებული. ნოე ჟორდანიას თავის მოგონებებში წერს, რომ მას ჯერ კიდევ მისი გერმანიაში ყოფნის დროს კაუცკის წერილმა პოლონეთის საკითხზე, დაანახა, რომ მარქსიზმი სრულიადაც არ უარყოფს ნაციონალურ საკითხს, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას (ჟორდანიას 1990:29). თუმცა ამისდა მიუხედავად, საქართველოს დამოუკიდებლობას ქართული პოლიტიკური წრეები როდის ან რის შემდეგ გამოაცხადებდნენ, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, მითუმეტეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაშლა ტრაგედიად იქნა მიჩნეული.

1918 წლის 25 თებერვალს (8 მარტი) „კაუკაზიშე პოსტი“ რუბრიკაში „ქვეყნის შიგნით“ დაიბეჭდა ძალიან საინტერესო სტატია, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებების მსვლელობის პროცესს შეეხებოდა. გაზეთი იტყობინებოდა, რომ გერმანიის და მისი მოკავშირეების მხრიდან წამოყენებულ იქნა კიდევ ერთი მოთხოვნა რუსეთის მიმართ. ეს მოთხოვნა შეეხებოდა უშუალოდ კავკასიას. სამი ტერიტორიული მონაკვეთი, როგორცაა ყარსი, ბათუმი და არტაანი უნდა გადასცემოდა თურქულ მხარეს. „კაუკაზიშე პოსტი“ ხაზს უსვამდა, რომ ქართულ პოლიტიკურ წრეებში თბილისში აღნიშნულ ინფორმაციას ძალიან მწვავე რეაქცია მოჰყვა. ყველა თავზარდაცემული იყო, რამაც კატალიზატორის როლი შეასრულა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების კუთხით, - აცხადებდა გაზეთი. გარდა ამისა, გაზეთი აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ თბილისში არანაკლები შიში ჰქონდათ რუსეთის მონარქიის აღდგენის მიმართ, რამაც ასევე თავისი როლი ითამაშა დამოუკიდებლობაზე ფიქრის მიმართულებით.¹⁸

„კაუკაზიშე პოსტის“ პირველ ნომერში, რომელიც 18 თებერვალს (1 მარტი) გამოიცა, ინფორმაცია ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებებზე გერმანიის და მისი მოკავშირე ქვეყნების მოთხოვნების შესახებ, რაც დაიბეჭდა არა რუბრიკაში „ქვეყნის

¹⁸ Inland, In: Kaukasische Post, Nr.2/1918, S. 1-2.

შიგნით”, არამედ „ქვეყნის გარეთ”. ამ ინფორმაციამ შემდეგი ფორმით გაიჟღერა „კაუკაზიშე პოსტის” ფურცლებზე:

„3) თურქეთი მიიღებს რუსული სამხედრო ძალების მიერ დაკავებულ ტერიტორიებს უკან”.

როგორც ცნობილია, საზავო ხელშეკრულების მოთხოვნები გერმანიამ რუსეთს 1918 წლის 21 თებერვალს წაუყენა. სულ 11 მოთხოვნა იყო, აქედან მეხუთე პუნქტი შემდეგი შინაარსის იყო:

„რუსეთი მაქსიმალურად ყველაფერს გააკეთებს, რომ დაცლილ იქნეს აღმოსავლეთ ანატოლიის პროვინციები და წესრიგის ფარგლებში გადაეცეს აღნიშნული ტერიტორიები თურქეთს.”¹⁹

ამის შემდეგ, 1918 წლის 2 მარტს, 21:00 საათზე, რუსეთში გავრცელდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული მოთხოვნა შეიცვალა. ახალი საზავო პირობა ითვალისწინებდა „არტაანის, ყარსის და ბათუმის გამოყოფას რუსეთის იმპერიის ტერიტორიიდან ხალხის თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე.”²⁰ დასასრულს, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მეოთხე პუნქტი ზემოთ აღნიშნული ორი მოთხოვნის გაერთიანების შედეგად შეიქმნა. თუმცა მაინც რჩება კითხვა, აღნიშნული მოთხოვნა უფრო მეტი კონკრეტიზაციის მიზნით შეიქმნა, თუ ხელშეკრულების დამოუკიდებელ პუნქტად იყო გათვლილი.

ფაქტობრივად შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ „კაუკაზიშე პოსტი” არ აკონკრეტებს, რომ საზავო პირობაში, რომლის მიხედვითაც თურქეთი უკან იბრუნებდა რუსეთის მიერ დაკავებულ ტერიტორიებს, აღმოსავლეთ ანატოლიას შეეხებოდა. ვფიქრობთ, რომ ეს არც იყო შემთხვევითი. „თავზარდაცემა” გერმანელ კოლონისტებში სწორედ იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ბათუმი, როგორც უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ეკონომიკური ქალაქი, სამხრეთ კავკასიისთვის იკარგებოდა. ამით ცხადია იმას არ ვამტკიცებ, რომ სხვა ტერიტორიებს მათთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდათ,

¹⁹ Proceedings of the Brest-Litowsk Peace conference. The peace negotiations between Russia and the central powers, Washington 1918, p. 177.

²⁰ Proceedings of the Brest-Litowsk Peace conference. The peace negotiations between Russia and the central powers, Washington 1918, p. 181.

არამედ მხოლოდ იმას მინდა გავუსვა ხაზი, რომ საზავო ხელშეკრულების პირობაში ბათუმის შეტანამ საკითხი უფრო მტკივნეული გახადა გერმანელი კოლონისტებისთვის. „კაუკაზიშე პოსტის“ მეშვიდე ნომერში გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ბენვზე“, რომელშიც საუბარია სამხრეთ კავკასიის და თურქეთის დელეგაციებს შორის მოლაპარაკებების შეწყვეტაზე. სტატიის ავტორი ბათუმის შესახებ კატეგორიულად წერდა:

„ჩვენ არ ვაპირებთ არანაირი ვარდისფერი იმედების შექმნას: არაა ბათუმი არაა დამოუკიდებელი ამიერკავკასია. ჩვენი მთავრობა დათმობს ბათუმს? არავითარ შემთხვევაში! მითუმეტეს, რომ ბათუმი იმავდროულად არის გული საქართველოსი და ფუძე ჩვენი ძლიერი რევოლუციური შემართების. რევოლუციური პარტიები, რომლებსაც ქართველები უძღვებიან, სწორედ იგივეს ფიქრობენ. ამიერკავკასიას არ შეუძლია და არ დათმობს ბათუმს. ვითომ თურქეთი უარს იტყვის ბათუმზე? ამაზე დამოუკიდებელი ამიერკავკასიის მომავალი. ამიერკავკასიის მომავალი ჰკიდია ბენვზე.“²¹

აქედან გამომდინარე გასაგებია, რატომ არ მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება გაზეთის რედაქციამ აღმოსავლეთ ანატოლიის დაკარგვას. აღმოსავლეთ ანატოლიაში არ შეიძლება მოვიაზროთ ბათუმი. ეს ქალაქი აჭარის რეგიონის შემადგენელი ნაწილია. ასე, რომ განცხადებას, რომელიც აღმოსავლურ ანატოლიური ტერიტორიების დაკარგვას ეხებოდა, ბათუმის დაკარგვის არანაირი წინათგრძნობა არ შეიძლება გაეჩინა.

მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, თუ როგორი რეაქცია ჰქონდა გერმანიას ბათუმის საკითხზე. თუკი თავიდან ე. ლუდენდორფს თურქეთის ყურადღება აღმოსავლეთზე უნდოდა გადაეტანა, ამით თურქეთის ამბიციები მარიცას (მდინარე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ძირითადად ბულგარეთში) მიმართებაში შემცირდებოდა. გენერალი 15 მარტს გენ. ზეექტს²² ურჩევდა მისი პოლიტიკისთვის შეეწყო ხელი. 24

²¹ An einem Härchen, In: Kaukasische Post, Nr.7/1918, S.1.

²² ჰანს ფონ ზეექტი - დაიბადა 1866 წელს ოფიცერ რიჰარდ აუგუსტის ოჯახში. იყო გერმანელი გამოჩენილი სამხედრო პირი. 1913 წელს ის დასახელდა მეორე არმიის გენერალური შტაბის უფროსად ბერლინში. პირველი მსოფლიო ომის დროს იბრძოდა აღმოსავლეთის ფრონტზე და გენერალ-მაიორის ჩინს მიაღწია ბოლოს. 1918 წელს მან ხელში აიღო გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა თურქეთში. 1919 წლის ივლისში გახდა გერმანიის არმიის გენერალური შტაბის უფროსი. 1926 წლის 8 ოქტომბრიდან თავდაცვის მინისტრ ოტო გესლერთან კონფლიქტის გამო ის წავიდა სამხედრო სამსახურიდან. მან გამოაქვეყნა სამხედრო ისტორიული ნაშრომები: „ჯარისკაცის ფიქრები“ და „გერმანიის იმპერიის მომავალი“. თავის ნაშრომში „გერმანია აღმოსავლეთს და დასავლეთს შორის“, რომელიც 1933 წელს გამოქვეყნდა,

აპრილს ერის ლუდენდორფი²³ დიპლომატიურ სამსახურს ურჩევდა, რომ გერმანელებს, ქართველებს და თურქებს შორის გამართულ მოლაპარაკებებში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინათ. გერმანია დათმობდა პრეტენზიებს სომხურ და აზერბაიჯანულ ტერიტორიებზე, თუკი თურქეთი დათმობდა საქართველოს ქრისტიანულ ნაწილს, აღიარებდა აღნიშნული ნაწილის დამოუკიდებლობას და სანაცვლოდ მიიღებდა ბათუმის სამხრეთ ნაწილს. გერმანია კი მიიღებდა ეკონომიკურ უპირატესობებს სარკინიგზო ხაზზე ბათუმიდან თბილისის გავლით სპარსეთის მიმართულებით. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა 1917-1918 წლებში, რიჰარდ კიულმანმა ავსტრია-უნგრეთის ელჩთან საუბრისას აღიარა, რომ „კავკასიის საკითხი“ იმაზე მეტ ყურადღებას მოითხოვდა, ვიდრე ექცეოდა (W. Baumgart 1966: 178). ეს მაშინ, როცა ეს ადამიანი ძალიან ფრთხილი და გეგმაზომიერი პოლიტიკის მომხრე იყო. საქართველოში გერმანული სამშვიდობო მისიის გამოგზავნასთან დაკავშირებით გამართულ სხდომაზე, ის აცხადებდა, რომ გერმანია პოლიტიკურად ბრეტ-ლიტოვსკის ზავს უნდა დაყრდნობოდა. თუმცა თუკი თურქეთი მეტს მოითხოვდა, ვიდრე ეს ხელშეკრულების პირობებით ეკუთვნოდა, ის იმ ტოტს მოჭრიდა, რომელზეც თავად იჯდა. გერმანიის მხრიდან თურქეთი ინფორმირებულ იქნა, რომ გერმანია მას სამხედრო და დიპლომატიურ მხარდაჭერას ვერ აღმოუჩენდა, თუ ის უფრო და უფრო მეტს მოინდომებდა კავკასიაში და მას შედეგებზე თავად უნდა ეგო პასუხი (Meine Mission... 2001: 95).

გერმანიის საუბრობს საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანი ურთიერთობების აუცილებლობაზე. 1936 წლის 27 დეკემბერს ის 70 წლის ასაკში გარდაიცვალა ბერლინში.

<https://www.dhm.de/lemo/biografie/hans-seeckt> (საიტზე მიმართვის თარიღი - 06.07.2019).

²³ ერის ლუდენდორფი - დაიბადა 1865 წლის 9 აპრილს პოზენის პოზენის პროვინციაში (ახლანდელი პოლონეთი). 1882-1904 წლებში მსახურობდა როგორც გენერალ-ოფიცერი. 1914 წლის სექტემბერში გახდა მერვე არმიის გენერალური შტაბის ოფიცერი. მისი უფროსი კი გენერალი ჰაულ ფონ ჰინდენბურგი იყო. 1916 წლის 29 აგვისტოდან ლუდენდორფის და ჰინდენბურგის ხელმძღვანელობის ქვეშ ექცევა გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა. ამ დროიდან მოყოლებული ლუდენდორფი თანაპასუხისმგებელია მასთან ერთად ყოველი გადაწყვეტილების დროს. 1918 წლის 26 ოქტომბერს მან დატოვა სამხედრო სამსახური და ორი კვირის შემდეგ გაემგზავრა შვედეთში, სადაც დაწერა ავტობიოგრაფიული ნაშრომი „ომის მოგონებები“, რომელიც ის მწვავედ აკრიტიკებს გერმანიის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. 1920-1924 წლებში გამოდიოდა ადოლფ ჰიტლერთან ერთად. 1923 წლის 23 ნოემბერს მან ჰიტლერთან ერთად მონაწილეობა მიუხედავად და მას უნდა ეხელმძღვანელა დაგეგმილი მარშისთვის ბერლინის მიმართულებით. 1924 წელს ის სასამართლომ გაამართლა და გაათავისუფლა. 1924-1928 წლებში იყო ნაციონალ-დემოკრატიული თავისუფლების პარტიის დეპუტატი რაინსტაგში. 1937 წლის 20 დეკემბერს ის ტუცინგში გარდაიცვალა. <https://www.dhm.de/lemo/biografie/erich-ludendorff> (საიტზე მიმართვის თარიღი - 06.07.2019).

ცნობილია, რომ არსებობდა ტელეგრაფი, რომელიც საგარეო სამინისტროსგან 1918 წლის 26 აპრილს გაეგზავნა კანცლერს, რომლის მიხედვით, ბათუმი როგორც საქართველოს ერთადერთი საზღვაო-სანავსადგურო ქალაქი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაკარგულიყო: „ჩვენი ინტერესები დაზარალდება, თუკი შუა აზიასა და სპარსეთზე მისასვლელი აბსოლუტურად თურქული მხარის ხელში გადავა და ჩვენ პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზნით რამის გასაკეთებლად იქ თურქეთის კეთილ ნებაზე უნდა ვიყოთ დამოკიდებულები. ამასობაში მილიონები დავხარჯეთ, ჩვენ მიმართ კავკასიის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად და ამით ცენტრალურ აზიასთან ერთგვარი ხიდის შესაქმნელად. ეს ყველაფერი ერთიანად წყალში ჩაიყრება, თუკი თურქები ბათუმს და ამიერკავკასიას დაეუფლებიან“.

ამგვარად, გერმანიის პოლიტიკისთვის საზიანო იქნებოდა ბათუმის დაკარგვა, არათუ ვამბობთ კავკასიის გერმანელ კოლონისტებზე. თუ კრესენშტაინს დავეუჯერებთ, ჰელენენსდორფში იყო საკმაოდ ბევრი გერმანელი მილიონერი (Meine Mission... 2001: 49).

აბსოლუტურად გასაგებია, რომ ჯერ კიდევ 1870-იან წლებში ბათუმი იყო მნიშვნელოვანი საექსპორტო ქალაქი (მატყლი, ბამბა, ხე, აბრეშუმი, მანგანუმი). 1883 წლიდან როცა ის ფოთი-ბაქოს რკინიგზის ხაზს შეუერთდა, ამ გზით ხდებოდა ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება აზერბაიჯანიდან.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მეოთხე პუნქტი ითვალისწინებდა ყარსის, არტაანის და ბათუმის ოლქების ახლებურ მონცობას რუსული მხარის მონაწილეობის გარეშე, თუმცა „მეზობელ სახელმწიფოებთან, სახელდობრ კი თურქეთთან შეთანხმებით“. რატომ მოხდა ამ პუნქტის ასეთი ფორმულირება, თავისთავად ძალიან საინტერესო საკითხია. აღნიშნული ფორმულირების საჭიროების უკეთესად ასახსნელად გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

1. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებამ რუსეთი ფაქტობრივად მინაზე დაანარცხა. გერმანიამ კარგად იცოდა, რომ რუსეთს იმის ძალა აღარ ჰქონდა, თურქეთი და მისი ამბიციები კავკასიაში შეეჩერებინა. თურქეთი ფაქტობრივად დომინანტი, ერთადერთი გაბატონებული ძალა ხდებოდა კავკასიის რეგიონში. მართალია საზავო

კონფერენციის პერიოდში გერმანიას აწყობდა, თურქეთის ყურადღება აღმოსავლეთ ევროპიდან კავკასიაზე გადაეტანა, თუმცა ამავე დროს არსებობდა საჭიროება, რამენაირად დიპლომატიური ღონისძიებით მისი შესაძლო სწრაფვა საზღვრების გაფართოების მიმართულებით შეზღუდულიყო. „მეზობელი სახელმწიფოების“ მომენტის ასახვა ხელშეკრულების ტექსტში იყო სწორი დიპლომატიური გათვლა, რომელიც გერმანიამ გააკეთა. იმ შემთხვევაში, თუკი თურქეთი ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობით არ დაკმაყოფილდებოდა, არსებობდა გეგმა „ბ“, რომ დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა ამიერკავკასიას, ან ამიერკავკასიის ქვეყნებს, რომლებსაც საზავო ხელშეკრულების პირობიდან გამომდინარე, უფლება ეძლეოდათ ჩარეულიყვნენ ნახსენები ტერიტორიის მონაცობის საკითხში. ამ გეგმამ რეალურად იმუშავა კიდევ, როდესაც გერმანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადებინა.

გერმანია კავკასიით არ შემოიფარგლებოდა და მისი გეგმები უფრო შორს მიდიოდა. კრესენშტაინი წერს თავის მოგონებებში, რომ როცა ის მისიასთან დაავშირებით კავკასიაში გამომგზავრების წინ კონსულტაციებს გადიოდა დიპლომატიურ და სამხედრო მაღალჩინოსნებთან, მისი გენერალ ლუდენდორფთან ვიზიტის დროს, მან კრესენშტაინს შემდეგი მითითება მისცა. კრესენშტაინს უნდა ეზრუნა, რომ მოკლე დროში ახალგაზრდა კავკასიის ქვეყნებს ძლიერი ჯარის გამოყვანა შესძლებოდათ, რათა კავკასია გამხდარიყო პლაცდარში, ინგლისელებისთვის ინდოეთში დასარტყმელად (*Meine Mission... 2001: 30*). როგორც ცნობილია, გენ. ლუდენდორფმა 21 მაისს მოითხოვა კავკასიაში „მცირერიცხოვანი სასწავლო ქვედანაყოფების“ გაგზავნა. აღნიშნულ ქვედანაყოფებს სარკინიგზო მაგისტრალები უნდა დაეცვათ და ხელი უნდა შეეწყოს თურქების ანტიინგლისური კამპანიისთვის სპარსეთსა და მესოპოტამიაში (ფ. კრესენშტაინი 2002: 26). კიულმანის მემკვიდრე უ. ფონ ჰინცე, ე. ლუდენდორფი და კრესენშტაინი ფიქრობდნენ, რომ გერმანიის მიერ თურქების წინაშე დათმობა გერმანიის კავკასიურ პოლიტიკას ძალიან დააზარალებდა (W. Baumgart 1966: 195). კარგად ჩანს, როგორ ცდილობდა გერმანია თურქეთის ყურადღების გადატანას სპარსეთსა და მესოპოტამიაზე, ისე, რომ მასთან მოკავშირეობას არ წყვეტდა და იმავდროულად საქართველოს კეთილგანაწყობდა მის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ოფიციალური ტექსტი ქართულ მხარეს მხოლოდ 1918 წლის მაისში გადაეცა, ბათუმის მოლაპარაკებების დროს (Meine Mission... 2001: 30).

თუკი გერმანია და მის მოკავშირე ქვეყნები ორჭოფობდნენ კავკასიაში პოლიტიკურად გააქტიურებასთან დაკავშირებით, მოგვიანებით ვითარება რადიკალურად შეიცვალა:

1. მუდმივი შეუთანხმებლობა და წინააღმდეგობა შემცირდა გერმანიის უმაღლეს სამხედრო და დიპლომატიურ უწყებას შორის კავკასიის რეგიონთან მიმართებაში; როგორც უკვე ზევით ვისაუბრეთ, ძალების დისბალანსიდან გამომდინარე, როცა თურქეთი სულ უფრო და უფრო წინ მიიწეოდა და მეტის მიღწევა სურდა. აღნიშნულმა გარემოებამ გამოკვეთა, რომ ამიერკავკასია მნიშვნელოვანი და სტრატეგიული არეალი იყო გერმანიისთვის, რასაც მანამდე ნაკლებ ყურადღებას აქცევდა.

✓ როგორც კიულმანი კრესენშტაინს მიუთითებდა, გერმანიას უნდა დაცვა მაქსიმალურად სარკინიგზო ხაზები და ეზრუნა, რომ ისინი თურქეთის ხელში არ აღმოჩენილიყო, რაც ზედმეტად საშიშ ვითარებას შექმნიდა.

✓ კიულმანი საუბარში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ბაქოს საკითხს. მისი განცხადებით, გერმანიას არც ის უნდა დაეშვა, რომ ბაქო თურქების ხელში აღმოჩენილიყო. სარკინიგზო ხაზების გაკონტროლება, ავტომატურად გაამარტივებდა ბაქოს დაკავების საკითხს. შესაბამისად, აღნიშნული ორი ფაქტორი ერთმანეთზე იყო მიბმული.

2. გერმანიისთვის ნათელი გახდა ომს პირობებში ნედლეულის ნაკლებობის დროს მთელი რიგი საბადოებით მდიდარი კავკასიის და განსაკუთრებით საქართველოს ფასი. ვფიქრობ, პოლიტიკურ ფაქტორთან კავშირში ეკონომიკური ფაქტორიც პრიორიტეტული გახდა. ნუთუ გერმანიამ ადრე არ იცოდა, რომ საქართველო ნედლეულით მდიდარი ქვეყანა იყო? რასაკვირველია იცოდა, თუმცა ის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მას შემდეგ გახდა, როცა მისი სრული დაკარგვის საშიშროება შეიქმნა.

✓ როგორც კრესენშტაინი თავის მოგონებებში წერს, გერმანიას უნდა მოეხერხებინა, რომ კავკასიის მდიდარ საბადოებს თურქეთი არ დაუფლებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის მოკავშირეებს ამ ნადავლს არ გაუნაწილებდა და გერმანიისთვის ყველაფერი დაკარგული იქნებოდა.

3. აზერბაიჯანს ჰქონდა პროთურქული ორიენტაცია, ამიტომაც მათ უარი თქვეს თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

4. როგორც უკვე აღინიშნა, რუსეთს აღარავის დაცვა აღარ შეეძლო და მითუმეტეს კავკასიის საქმეებში აქტიური ჩარევა.

პალავიჩინი თვლიდა, რომ გერმანიამ მიწასთან გაასწორა რუსეთი, რითაც თურქეთს მისცა მაგალითი, თუ როგორ კეთდება ეს (W.Baumgart 1966: 175). შესაბამისად, თურქეთს არ გაუჭირდებოდა ამჯერად კავკასიის მიწასთან გასწორება.

§4.2. ყაჩაღთა ბანდები საქართველოში

ყაჩაღობები, ქურდობები და ბევრი სხვა შემთხვევა გაკვირვებას არ იწვევს, თუკი ქვეყანაში ქაოსი და არასტაბილური მდგომარეობაა. სამხრეთ კავკასიაში სწორედ ასეთი მდგომარეობა გვხვდება რუსეთის რევოლუციის შემდეგ. გაკვირვებას და უფრო მეტად ეჭვს მხოლოდ ის გარემოება იწვევს, რომ აღნიშნული ბანდები, რომელთა შესახებ დანვრილებით ვისაუბრებთ, თავს უმეტესად გერმანულ კოლონისტებს ესხმოდნენ. ეს ფაქტი შემთხვევითობად მაინც არ უნდა ჩავთვალოთ იმის მიუხედავად, რომ გერმანული კოლონისტები მატერიალურად სტაბილურად იყვნენ. პირველი ცნობა, რომ ყაჩაღთა ბანდები კავკასიაში არსებობდნენ, გაზეთის მეორე ნომერში გვხვდება. სტატიაში „რატომ აცხადებს ამიერკავკასია მობილიზაციას?“ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ თითოეულ ადამიანს უნდა ებრძოლა ყაჩაღების წინააღმდეგ.²⁴

საინტერესოა ის გარემოება, რომ ისინი ორიენტირებულები იყვნენ მოსახლეობის უკმაყოფილების გასაღვივებლად. გაზეთის მესამე ნომერი ისევ ყაჩაღებს და მათ

²⁴ Warum mobilisiert Transkaukasien?. In: Kaukasische Post, Nr.2/1918, S.1.

საქმიანობას ეხება. გაზეთი „კაუკაზიშე პოსტი“ იმავდროულად პროგნოზირებდა, რომ მათი თავდასხმების რაოდენობა გაიზრდებოდა.²⁵

გაზეთის მეოთხე ნომერში, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დადების შემდეგ გამოქვეყნდა, რუბრიკაში - „გერმანელების ცხოვრებიდან“ - დაიბეჭდა ინფორმაცია, რომ შვეიცარიის მოქალაქეები, ამეტერი და კუჩინბახი ყაჩაღთა ბანდების მიერ ერთიანად გაძარცვულ და განადგურებულ იქნენ და აქვე გაზეთი იუწყებოდა, რომ ხმები დადის კოლონიებზე თავდასხმები კვლავ მოხდებაო.²⁶

ერთ-ერთი თავდასხმა დაწვრილებითაა აღწერილი „კაუკაზიშე პოსტის“ მეექვსე ნომერში, რომ თათრების თავდასხმა მომდევნო დღეს ისევ გამოვლინდა:

„ყარსის მხარიდან შევიტყეთ, რომ 26 თებერვალს ქურთები და თათრები თავს დაესხნენ დავიდ მოფერის, ოტო დელენბახის და ედ. ეტეგენტალერის ფერმებს. მთელი ქონება წაიღეს. კი არადა ტანსაცმელიც კი გახადეს ადამიანებს და ისიც წაიღეს. ფერმების მფლობელები, ისევე როგორც დიდი ნაწილი მომსახურე პერსონალისა, თბილისში გადმოსახლდა.“²⁷

ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებები ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, როცა აღნიშნული შემთხვევა მოხდა 26 თებერვალს. ხელშეკრულების ტექსტში ცვლილება, რომლის მიხედვითაც თურქეთი მიიღებდა ყარსს, არტაანს და ბათუმს, უკვე უნდა ასახულიყო. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზემოთ აღნიშნული გრანდიოზული თავდასხმა გერმანელ კოლონისტებზე ყარსში, აღნიშნული ტერიტორიის თურქების მიერ დაკავების მომზადებისთვის იყო გამიზნული. საბოლოოდ, გერმანელები იძულებულები გახდნენ, რომ გადასახლებულიყვნენ. ამრიგად, მიზანი იყო, ყარსი გერმანული მოსახლეობის გარეშე დარჩენილიყო, ამით თურქეთს აღნიშნულ ოლქში თავისუფლად მანევრირების შესაძლებლობა მიეცემოდა.

„კაუკაზიშე პოსტი“ არ წყვეტდა გერმანელებზე მსგავსი თავდასხმების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას. გაზეთის 22-ე ნომერში უკვე ვკითხულობთ:

²⁵ Katharinenfeld, den 8.Februar. In: Kaukasische Post, Nr.1/1918, S.3.

²⁶ Aus dem Deutschen Leben. In: Kaukasische Post, Nr.4/1918, S.3.

²⁷ Rauberüberfälle. In: Kaukasische Post, Nr.6/1918, S.3.

„გერმანელები თბილისში და მის გარეუბანში შიშობდნენ უფრო არა იმაზე, რომ თურქები დაიკავებდნენ თბილისს, არამედ უფრო იმ გამუდმებული ბრძოლოს გამო, რომელიც იყო წითელს გვარდიას და თურქების რეგულარული ჯარის სავარაუდო ავანგარდს, შეიარაღებულ ყაჩაღურ ბანდებს შორის, რომელთა შესახებ ჩვენ არაერთხელ ვისაუბრეთ. ეს თურქული რაზმი თავისი ყაჩაღური საქმიანობით უზომოდ საშიში მტერია და ყველაფერს აკეთებს მონინააღმდეგის მინასთან გასასწორებლად.”²⁸

აღნიშნული ცნობიდან გამომდინარე აშკარაა კავშირი თურქებსა და ყაჩაღურ დაჯგუფებებს შორის. აქვე გასათვალისწინებელია, რომ „კაუკაზიმე პოსტი“ ხანდახან ყაჩაღებს „თათრებს“ უწოდებს, რაც არაა შემთხვევითი, რადგან „თათრებში“ აზერბაიჯანის მოსახლეობა იგულისხმება.

ამის დასადასტურებლად, რომ აღნიშნული ბანდები თურქეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულები, მოვიყვან კრესენშტაინის მოგონებებიდან მონაკვეთს, სადაც ცხადად ჩანს კავშირი მათ შორის. უფრო მეტიც, კრესენშტაინი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ამ ბანდებს თურქი ოფიცრობა ხელმძღვანელობდა:

„შოირინგის და მისი ოფიცრების დიდი ტაქტის და მოხერხებულობის წყალობით მიღწეულ იქნა, რომ ყაჩაღური ბანდები საზღვრებიდან განიდევნენ, რომელთაც თურქი ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ და თურქეთის რეგულარული ჯარი უწყობდა ხელს. ეს ისე მოხდა, რომ არანაირი ღია ბრძოლა ჩვენს მოკავშირეებთან (თურქეთი-ქ.დ.) არ გვექონია” [Kressenstein 2001:45].

როგორც ვხედავთ, „კაუკაზიმე პოსტი“ აღნიშნული ორგანიზებული თავდასხმების შემსრულებლად თათრებს ანუ აზერბაიჯანელებს ასახელებს. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ როცა გაზეთმა სომხური და ქართული პრესის მიმოხილვას სპეციალური რუბრიკები მიუძღვნა გაზეთში, რაც კვირაში ერთხელ იბეჭდებოდა. აზერბაიჯანის პრესა აბსოლუტურად იგნორირებული აღმოჩნდა გაზეთის მიერ, რაც ხსენებული თავდასხმებით შეიძლება აიხსნას. რთულია დაივიწყო, როგორ დაკარგა ბევრმა შეძლებულმა გერმანელმა კოლონისტმა საკუთარი ქონება და აქეთ დევნილად

²⁸ Panik, In: Kaukasische Post, Nr.22/1918, S.2.

იქცა. უნდა აღნიშნოს, რომ აზერბაიჯანი „კაუკაზიშე პოსტის“ ყურადღების მიღმაა. გაზეთი საქართველოსა და სომხეთზე არის ორიენტირებული, რაც სუბიექტური მიზნებიდან გამომდინარე გასაგებიცაა.

ლოგიკურია, რომ აღნიშნული ბანდები თურქეთის პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდნენ, რაზეც თავდასხმების რეგულარული ხასიათიც მეტყველებს და საბოლოო ჯამში შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ამ ბანდების საქმიანობის მიზნები უფრო ფართო უნდა ყოფილიყო:

1. საქართველოს ეკონომიკური ზიანი მიაღებოდა, თუკი გერმანელი კოლონისტები, რომელთა შორის კრემენშტაინის თქმით, მილიონერებიც კი იყვნენ, საკუთარ ქონებას თავდასხმების შედეგად დაკარგავდნენ.

2. გერმანელებში უნდა გაზრდილიყო უკმაყოფილება. იქედან გამომდინარე, რომ ისინი საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ აღნიშნული უკმაყოფილება პირდაპირ თუ ირიბად ამ ქვეყნის მიმართ გარკვეულწილად მაინც იქნებოდა მიმართული. ლოგიკურია, როცა ვცხოვრობ ქვეყანაში, ვზრომობ და ვემსახურები ამ ქვეყანას, ის ვალდებულია უზრუნველყოს მინიმუმ ჩემი და ჩემი საკუთრების უსაფრთხოება, თუნდაც ომის პირობებში. მეორე მხრივ, მსგავსი უკმაყოფილება გერმანიის მიმართაც შეიძლება გაჩენილიყო კოლონისტებში, მიუხედავად მათი პატრიოტული სულსკვეთებისა, თუ როგორ აფასებდნენ და უფრო ხილდებოდნენ საკუთარ ფესვებს. გერმანელი კოლონისტებისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ხსენებული ბანდები თურქების დაკვეთით და მათი ორგანიზებით მოქმედებდნენ. თურქეთი კი გერმანიის მოკავშირე გახლდათ, რომელიც გერმანელ კოლონისტებს და მათ მატერიალურ შესაძლებლობებს ასე აქტიურად ებრძოდა.

3. რადგან თავდამსხმელები თათრები იყვნენ, ამ გარემოების გამო უნდა გაუარესებულიყო ურთიერთობა საქართველო-აზერბაიჯანს შორის. ეს მაშინ, როცა სამხრეთ კავკასიის კავშირი გარკვეულ ფორმებში არსებობდა, თუმცა აზერბაიჯანი თურქეთის მიმართ ისედაც კეთილგანწყობილი იყო. ეს გარემოება რეალურს ხდიდა კავშირის დაშლას.

თავი 5.

საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივები

„კაუკაზიშე პოსტის“ მიხედვით

გერმანიაზე ოფიციალურად პოლიტიკური კურსის აღება, ასევე ნიშნავდა მზადყოფნას მასთან ორმხრივ ეკონომიკურ თანამშრომლობაზე. ბერლინში მივლინებულმა აკაკი ჩხენკელის დელეგაციამ 1918 წლის 12 ივლისს გერმანიასთან ეკონომიკური ხელშეკრულებები გააფორმა. ეკონომიკური თანამშრომლობა სასარგებლო იქნებოდა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ არანაკლებ გერმანიისთვისაც, რადგან ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორი კავკასიის რეგიონში გერმანული ჯარების შემოყვანისა, სწორედ აქ არსებული მზა ნედლეული იყო, რაც გერმანიას პირველი მსოფლიო ომის მსვლელობის პირობებში ძალიან ესაჭიროებოდა. ჯერ კიდევ 1914 წლის 13 აგვისტოს გერმანიაში შეიქმნა სპეციალური განყოფილება, რომელიც ემსახურებოდა ომისთვის საჭირო ნედლეულის მოპოვება-შეძენას, მის განაწილებას და მისგან სამხედრო პროდუქციის დამზადებას. როგორც კრეს ფონ კრესენშტაინი განმარტავდა თავის მოგონებებში, მისი მისიის ერთ-ერთი მიზანი ნავთობის, მანგანუმის, სპილენძის და სხვ. მდიდარი მარაგების ცენტრალური სახელმწიფოების საბრძოლო მოქმედებებისთვის გამოსაყენებლად მომზადება იყო.²⁹

გაზეთი „კაუკაზიშე პოსტი“ კავკასიის, უფრო მეტად საქართველოს გერმანიასთან ეკონომიკური კავშირით განსაკუთრებით ინტერესდება და შესაბამისად, ამ საკითხს გაზეთის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. ეს ცხადია გერმანელი კოლონისტების აქტიური ეკონომიკური საქმიანობით აიხსნება და მათთვის გერმანული ბაზრის გახსნა ძალიან მიმზიდველი და სასარგებლო იქნებოდა.

ჯერ კიდევ გერმანია-საქართველოს შორის ეკონომიკური ხელშეკრულებების გაფორმებამდე, 15 მაისს, „კაუკაზიშე პოსტის“ მე-19 ნომერში პირველ გვერდზე მთავარ

²⁹ <https://www.dhm.de/lemo/kapitel/erster-weltkrieg/industrie-und-wirtschaft.html>
(საიტზე მიმართვის თარიღი - 20.05.2019).

სტატიად იბეჭდება ეკონომიკური შინაარსის სტატია, რომლის ავტორი გადაჭრით ამტკიცებდა, რომ ახლო მომავალში კავკასიურ-გერმანული ვაჭრობის პალატა შეიქმნებოდა, რომელიც მოაგვარებდა გერმანიასა და კავკასიას შორის პროდუქციის მიმოცვლას, ის იქნებოდა შუამავალი გერმანულ და კავკასიულ ვაჭრებსა და მწარმოებლებს შორის. ის უზრუნველყოფდა ასევე კავკასიიდან მზა ნედლეულის გატანას, რომელიც გერმანულ ქარხანა-ფაბრიკებს ძალიან ესაჭიროებოდათ. აღნიშნული პალატა ნამდვილად შეიქმნა, რაზეც გაზეთის 42-ე ნომერში არის საუბარი. ეს პალატა იყო ქართულ-გერმანული, რომელსაც ზუსტად ის მოვალეობები ჰქონდა, რაზეც „კაუკაზიშე პოსტი“ ჯერ კიდევ 15 მაისს საუბრობდა. საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ პერიოდის ქართულ პერიოდულ გამოცემებში („საქართველო“, „სახალხო საქმე“, „ერთობა“ და სხვ.) აღნიშნული ინფორმაცია არ მოიპოვება. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ:

- ✓ გერმანულ კოლონისტებს კავშირი ჰქონდათ გერმანიის პოლიტიკურ-ეკონომიკურ წრეებთან;
- ✓ კავკასიის, განსაკუთრებით საქართველოს სავაჭრო წრეებს ინტერესს უღვივებდა და კეთილგანაწყობდა აღნიშნული პროგნოზით, გერმანიის ეკონომიკური ბაზრის მიმართ.

„კაუკაზიშე პოსტის“ პროგნოზი ნამდვილად გამართლდა, როცა გერმანიასა და საქართველოს შორის პროდუქციის იმპორტ-ექსპორტის კომისია, ხოლო მის თავმჯდომარედ ნიკო ნიკოლაძე აირჩიეს. ამაზე დეტალურადაა საუბარი გაზეთის 42-ე ნომერში.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გერმანია-საქართველოს შორის პროდუქციის გაცვლის საკითხი. მიუხედავად ორივე მხარეს შორის გაფორმებული ეკონომიკური ხელშეკრულებებისა და არაერთი ღონისძიებისა, რომ არ მხოლოდ საქართველოდან გასულიყო გერმანიაში, არამედ გერმანიასაც შემოეტანა საქართველოში საკუთარი პროდუქცია, საბოლოო ჯამში ამაო აღმოჩნდა და გერმანიას საქართველოში არაფერი შემოეტანია.

გერმანული ექსპორტის საკითხი დისკუსიის თემა გახდა საზოგადოებაში და მასზე პერიოდულ პრესაში ბევრი სტატია იწერებოდა. გამონაკლისი არც „კაუკაზიშე პოსტი“ იყო,

თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გაზეთი მკითხველისთვის ფაქტებსა და გარემოებებზე ინფორმაციის მიწოდებით შემოიფარგლებოდა და ინტერპრეტაციისგან თავს იკავებდა. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა:

✓ გაზეთი თავის დროზე წინასწარ თავადვე იყო აღფრთოვანებული, რომ გერმანია კავკასიის და განსაკუთრებით, საქართველოს ბაზრით დაინტერესდებოდა და მთელ რიგ პროგნოზებს აკეთებდა. მისთვის არ იყო მარტივად აღსაქმელი, რომ რეალურად რამე დაპირება გერმანიის მხრიდან არ სრულდებოდა.

✓ გაზეთს სტატია რომ მიეძღვნა საკუთარი ინტერპრეტაციის წარმოსადგინად და გაემართლებინა გერმანული მხარე, შესაძლოა ამას ქართულ საზოგადოებაში გაღიზიანება გამოეწვია იმ საერთო განწყობის ფონზე, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობდა, როცა პერიოდულ პრესაში უკმაყოფილებას ღიად გამოხატავდნენ; თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ კრიტიკის მიუხედავად, გერმანიის პატიოსნების და კეთილსინდისიერების იმედს მაინც იტოვებდნენ.

✓ გაზეთზე აშკარად არსებული გერმანული გავლენიდან გამომდინარე, გერმანული მხარის კრიტიკა ექსპორტის საკითხთან დაკავშირებით ნაკლებად შესაძლებელი ჩანს.

ქართული პერიოდული გამოცემებიდან აღსანიშნავია გაზეთ „საქართველოს“ პოზიცია გერმანიიდან სასაქონლო პროდუქციის შემოტანასთან დაკავშირებით. გაზეთი არაერთხელ გამოეხმაურა აღნიშნულ საკითხს. კრიტიკული პოზიციის მიუხედავად, გაზეთი თვლიდა, რომ გერმანია თავის დანაპირებს შეასრულებდა, ამაზე მისი კეთილსინდისიერი მოქმედება საქართველოსთან მიმართებაში მეტყველებდა, ვკითხულობთ გაზეთის 1918 წლის 2 ოქტომბრის ნომერში.³⁰ გაზეთი „ერთობა“ ასევე იმედს გამოთქვამდა სტატიაში „ორიენტაციისთვის“³¹, რომ გერმანია შეასრულებდა საქართველოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს.

ქართულ საზოგადოებაში გაჩენილ მითქმა-მოთქმას, რომ გერმანია არც არაფერს გამოგზავნიდა საქართველოში, ფინანსთა, ვაჭრობის და ინდუსტრიის სამინისტრო

³⁰ ა. ასათიანი, გერმანულ-კავკასიური ბანკი, გაზ. „საქართველო“, №183/1918, გვ.1.

³¹ ორიენტაციისთვის, გაზ. „ერთობა“, №209/1918, გვ.1.

სპეციალური განცხადებით ეხმაურება. ამ განცხადების შინაარსს, „კაუკაზიშე პოსტი“ 59-ე ნომერში³² აქვეყნებს. სამინისტროს განცხადებით, გერმანიასთან თანამშრომლობა აღნიშნული კუთხით მიმდინარეობდა. ომის პირობებში მთელი რიგი სირთულეების გამო, გერმანიიდან პროდუქციის გამოგზავნა არ ხერხდებოდა. კონკრეტული არგუმენტები განცხადებაში მოყვანილი არ იყო. ასეთი იყო საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია გერმანულ ექსპორტთან დაკავშირებით.

საინტერესოა, დოქტორ ვესტერჰაგენის დასკვნა საქართველოში ვიზიტის დროს, რასაც „კაუკაზიშე პოსტი“ 57-ე ნომერში³³ სრულად აქვეყნებს. ხსენებული პიროვნება დადებითად აფასებდა საქართველოს ეკონომიკურ პოტენციალს, თუმცა მისი ნათელი ეკონომიკური მომავალი მხოლოდ გერმანიასთან თანამშრომლობის პირობებში ესახებოდა. იმ ფაქტს, რომ გერმანია არ ყიდდა საქართველოზე საკუთარ სანარმოო პროდუქციას, მან ახსნა საქართველოში არსებული არასაიმედო სავალუტო კურსით, ქაოსით, არასტაბილური საშინაო მდგომარეობით და სხვ. მისი აზრით უნდა შექმნილიყო შესაბამისი ფინანსური ინსტიტუტი, კერძოდ, გერმანულ-კავკასიური სავაჭრო ბანკი, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა ტრანზაქციებში და რომელშიც თანხის შეტანა მოხდებოდა როგორც გერმანული, ისე ქართული მხრიდან. მისთვის ქართული ბანკები სანდოდ არ გამოიყურებოდნენ, იქიდან გამომდინარე, რომ სათაო ოფისები ამ ბანკებს რუსეთში ჰქონდათ. საყურადღებოა ამავე დროს ის ფაქტორი, რომ ის აქცენტს აკეთებს არა გერმანია-საქართველოს, არამედ გერმანია-კავკასიის ეკონომიკურ თანამშრომლობაზე, ანუ უნდა შექმნილიყო გერმანულ-კავკასიური და არა გერმანულ-ქართული ბანკი. გერმანიას სჭირდებოდა მთელი რეგიონის ეკონომიკური რესურსები და არა მხოლოდ საქართველო. თუმცა პოლიტიკური კუთხით, გერმანია-საქართველოს პარტნიორობა უფრო რეალური იყო გერმანული მხარისთვის, სომხეთის და აზერბაიჯანის არაგერმანული პოლიტიკური ორიენტაციის ფონზე.

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის საექსპორტო მაჩვენებელი 1913-1929 წლებში ერთ სულ მცხოვრებზე 528 ევროს შეადგენდა. ბოლო 130 წლის განმავლობაში გერმანიის

³² Deutsche Waren für die Kaukasusländer, Kaukasische Post, №57/1918, S.1.

³³ Inland, Kaukasische Post, 159/1918, S.2.

საექსპორტო პროდუქციის 75% ევროპაში გადის, 13% - ამერიკაში, 8% - აზიაში, ხოლო მისი 5% - აფრიკაში. პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანია ფოკუსირებული იყო ევროპაზე, რადგან მას პარალელურად საბაჟო გადასახადები უნდა გადაეხადა, თუკი საკუთარ პროდუქციას ამერიკასა და სხვა არაევროპულ სახელმწიფოებში გაიტანდა. გერმანიის ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი ინგლისზე, საფრანგეთსა და ავსტრია-უნგრეთზე მოდიოდა (Rahlf 2015: 286-289).

რატომ არ იგზავნებოდა გერმანიიდან პროდუქცია საქართველოში?

✓ საქართველო იყო ახალგაზრდა ქვეყანა, სადაც სახელმწიფო ინსტიტუტები ახლად ყალიბდებოდა. ქვეყანაში ვითარება არასტაბილურობით გამოირჩეოდა. ის იყო რეალურად სამხედრო-პოლიტიკური დაძაბულობის ეპიცენტრში. გერმანიის სამხედრო დახმარებით ხდებოდა თურქული და ბოლშევიკური აგრესიის მოგერიება. ქვეყანაში არსებული რთული კრიმინალური მდგომარეობა, გერმანელ მწარმოებელს ცხადია გაუჩინდა ეჭვს, გაეგზავნა თუ არა კავკასიაში თავისი პროდუქცია. თუმცა პირველი მსოფლიო ომის პირობებში, წყნარი და მშვიდი მდგომარეობით რთულად თუ მოიძებნებოდა ადგილი. გერმანია კი თავის პროდუქციას მაინც გზავნიდა ევროპის და მსოფლიოს მასშტაბით. შესაბამისად, ის გარემოება, რომ საქართველოში არასტაბილური საშინაო და საგარეო ვითარება იყო შექმნილი, გადამწყვეტად არ უნდა მივიჩნიოთ, რომ გერმანია საქართველოს დაპირების მიუხედავად საწარმოო საქონელს არ უგზავნიდა.

✓ ბერლინში მყოფი ქართული დელეგაცია წინააღმდეგი იყო, რომ საქართველოში ვაჭრობა გერმანელების მიერ მონოპოლიზებული ყოფილიყო. გერმანული მხარე თვლიდა, რომ თავისუფალი კონკურენციის პირობებში პროდუქციის მიმოცვლა ნაკლებ მომგებიანი იქნებოდა, რადგან ფასები პროდუქციაზე შეიცვლებოდა ხოლმე. ქართულმა მხარემ ექსპორტ-იმპორტის ბანკის შექმნა შემოგვთავაზაო, თუმცა ამ ინსტიტუტს ასევე მონოპოლია მოჰყვებოდა, აცხადებდა გერმანული მხარე. ამ სიტუაციიდან გერმანია შემდეგ გამოსავალს ხედავდა, რომ გერმანულ ფირმებს ჯერ ფილიალები

გაეხსნათ საქართველოში და ესწავლათ თავისუფალი კონკურენციის პირობებში საქმიანობა.³⁴

✓ სავალუტო კურსის არასტაბილურობას გერმანული მხარე ნეგატიურად აფასებდა. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ 1918 წლის 20 ივნისს გერმანია-საქართველოს შორის შედგა შეთანხმება, რომ მარკის და რუბლის თანათფარდობა 0.80/1.00 იქნებოდა 4 კვირის განმავლობაში, თუკი 14 დღით ადრე ეს შეთანხმება არ გაუქმდებოდა, მაშინ კურსი ავტომატურად გაგრძელდებოდა.³⁵

გერმანია შიშობდა, რომ საქართველო თავისი ფინანსური რესურსებით გერმანული წარმოების პროდუქციის ყიდვას ვერ შეძლებდა და ეს მიზეზი სრულიად საფუძვლიანი ჩანს. 1918 წელს რაიხსბანკმა 300 ათასი შვეიცარიული ფრანკი გამოუყო საქართველოს, 1918 წლის 2 სექტემბერს გერმანია 1250000 მარკას უგზავნის ჩვენს ქვეყანას, 1918 წლის 7 სექტემბერს ბანკსინდიკატი საქართველოს მთავრობას აძლევს 54 მილიონი მარკის სესხს.³⁶ სამაგიეროდ, საქართველოდან გადიოდა და გადიოდა ნედლეული გერმანიის მიმართულებით. ვებენდონკის³⁷ დეპეშაში ნათქვამია, რომ ევროპის სავაჭრო საზოგადოებამ ცოტა ხნის წინ 15 მილიონი რუბლი გადმორიცხა საქართველოში ნედლეულის საყიდლად და ის კმაყოფილიც უნდა დარჩენილიყო ნავაჭრით.³⁸ სწორედ ეს იყო გერმანიისთვის მნიშვნელოვანი, ხოლო საქართველო რას მიიღებდა - მეორეხარისხოვანი. მაშინ როცა გერმანული შენაერთები ზრუნავდნენ ქვეყანაში წესრიგის აღდგენასა და შენარჩუნებაზე, ამ დროს ბევრი გერმანელი ჯარისკაცი კვდებოდა ან სახიჩრდებოდა, ღია პროტესტი, რატომ გერმანია არაფერს უგზავნიდა

³⁴ საქართველოს არქივი, გერმანულ პირთა დოკუმენტების კოლექცია, №140.

³⁵ საქართველოს არქივი, გერმანულ პირთა დოკუმენტების კოლექცია, №139.

³⁶ იქვე, №212.

³⁷ ოტო გიუნტერ ვონ ვებენდონკი - დაიბადა 1885 წლის 3 ოქტომბერს ბერლინში. იყო გერმანელი ელჩი. 1903 წლიდან 1908 წლამდე სწავლობდა ბერლინში, ბონსა და ჰაიდელბერგში. 1908 წელს საგარეო საქმეთა სამსახურში შევიდა. პირველი მსოფლიო ომის დროს ის იყო ორიენტალისტი. ის პროპაგანდას ეწეოდა დიდი ბრიტანეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. 1918 წელს ის მიველენილ იქნა გერმანიის იმპერიის გენერალკონსულად თბილისში. ის ფრიდრიხ შულენბურგთან ერთად მონაწილეობას იღებდა 1918 წლის 11 მაისს ბათუმში დაწყებულ მოლაპარაკებებში ქართულ და თურქულ მხარეებს შორის როგორც დამკვირვებელი და კავკასიის საქმეებში ჩახედული პიროვნება. 20-იან წლებში ის ლექციებს კითხულობდა ბერლინის უნივერსიტეტში პოლიტიკის მიმართულებით. გარდაიცვალა 1933 წლის 27 ივნისს. <http://www.wesendonck.websiteportal.de/biografie.html> (საიტზე მიმართვის თარიღი - 06.07.2019).

³⁸ საქართველოს არქივი, გერმანულ პირთა დოკუმენტების კოლექცია, №139.

საქართველოს, სწორი არ უნდა ყოფილიყო საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე.

✓ მოცემულ პერიოდში გერმანია არ იყო დაინტერესებული ინვესტირება მოეხდინა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიზნით, მითუმეტეს როცა ის შედეგს ვერ ხედავდა. ომის პირობებში ქვეყანა ეკონომიკურად სწრაფად ვერ განვითარდებოდა. არაფინ იცოდა ომი რა შედეგით დასრულდებოდა და გერმანიას რომ გაემარჯვა, მას მეტი სამხედრო და ეკონომიკური რესურსი სჭირდებოდა. ეს რესურსი ცალსახად გერმანიას უნდა მოხმარებოდა.

✓ გერმანელი ექსპერტების დასკვნები ქმნიდნენ ილუზიას, რომ თუნდაც გერმანულ-კავკასიური ბანკის შექმნა, საქმეს წინ წაწევდა. რაიხსკანცლერი ჰერტლინგი აღნიშნავდა, რომ საქართველოს მთავრობა და მოსახლეობის დიდი ნაწილი გერმანიის ეკონომიკური საქმიანობების მიმართ უნდობლად არიან განწყობილები. ისინი ფიქრობენ, რომ გერმანელები კავკასიაში მივიდნენ, რათა ის ეკონომიკური მიზნებისთვის გამოეყენებინათ და გაეძარცვათ. თავის მხრივ გერმანიის მტრები ამ აზრებს თავის სასარგებლოდ იყენებენ და მოსახლეობას ჩვენს წინააღმდეგ უფრო და უფრო ამხედრებენ. შესაბამისად, სანამ გერმანია ახალ ეკონომიკურ წამოწყებას შეუდგება საქართველოში, მანამდე უმჯობესია ჯერ მოსახლეობის ნდობის მოპოვება და მათი დარწმუნება, რომ გერმანიას მათი დახმარება ჰქონდა გადაწყვეტილი და აბსოლუტურად კეთილი მიზნები ამოძრავებს. ამიტომაც ჩვენ ძალიან საჭირო საგნები უნდა გავუგზავნოთ მათ, რასაც სასწრაფოდ საჭიროებს ქართული მოსახლეობა, - აცხადებდა რაიხსკანცლერი.³⁹ საქართველოს მოსახლეობის და თუნდაც პოლიტიკური წრეების პოზიცია გასაგებია. როცა მოსახლეობას ძალიან უჭირდა და ამ დროს გერმანელებს ქვეყნიდან ნედლეული გაჰქონდათ და ეს მათ მდგომარეობას არ აუმჯობესებდა, ლოგიკურია რომ უკმაყოფილება ჩნდებოდა ამ საკითხის გარშემო. ვფიქრობ, გერმანულ-კავკასიური ბანკის შექმნის იდეა და თუნდაც ჰერტლინგის ფრთხილი პოლიტიკა ქართული მოსახლეობის ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილებასთან

³⁹ საქართველოს არქივი, გერმანული დოკუმენტების პირთა კოლექცია, №211.

დაკავშირებით დროის გახანგრძლივებას და გაჭიანურებას ჰგავდა. თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ რეალურად გერმანულ-კავკასიურ ბანკს საქმე შესაძლებელია კარგად გაეკეთებინა. ფაქტი ერთია, რომ ეს ბანკი არ შექმნილა და გერმანული საქსპორტო საქონელი საქართველოში არ ჩამოსულა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ საქართველოდან გერმანიამ მთელი რიგი ნედლეული გაიტანა, ხოლო მის ექსპორტს საქართველოში არ ჩამოუღწევია. სამაგიეროდ, გერმანელი ჯარისკაცები იბრძოდნენ საქართველოში. ჩვენი ქვეყანა იღებდა გერმანიის მხრიდან კრედიტებს და ფინანსურ მხარდაჭერას. ვფიქრობთ, ეს მიაჩნდა გერმანიას შესაბამის საპირწონედ და პროდუქციის გამოგზავნა სარისკოდ და ზედმეტად მიაჩნდა. ქართული მოსახლეობის აღშფოთება, რომ გერმანელებმა გაიტანეს ყველაფერი და არაფერი შემოჰქონდათ, ნაწილობრივ სწორია. იმავდროულად, არ უნდა დავივიწყოთ ამ უკმაყოფილების ფონზე ის კეთილგანწყობა, რომელიც არსებობდა ქართული მოსახლეობაში. გერმანია პირნათლად ასრულებდა დაპირებებს, ქართული საზოგადოება იმედს არ კარგავდა, რომ ასე გაგრძელდებოდა, რაც საქართველოსთვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა. არავინ იცის რა ფორმით გაგრძელდებოდა გერმანია-საქართველოს შორის თანამშრომლობა, პირველ მსოფლიო ომში გერმანიას რომ გაემარჯვა; თუმცა ის გარემოება, რომ გერმანელებმა ბევრი სასარგებლო გააკეთეს დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისთვის და სულ რომ არაფერი მართო არ დაგვტოვებს თურქული და ბოლშევიკური აგრესიის წინაშე, ნათელია და აუცილებლად საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია.

თავი 6.

„კაუკაზიშე პოსტის“ რეორგანიზაციის საკითხი

1918 წლის 10 ივლისს გაზეთის 35-ე ნომერში დაიბეჭდა მთავარი სტატია სახელწოდებით „ქართული ეროვნული საბჭო“, რომელიც ეროვნული საბჭოს და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მწვავე კრიტიკას შეიცავდა. სტატიის ავტორი ხაზს უსვამს, სოციალ-დემოკრატების არაკომპეტენტურობას და უუნარობას, გადაეჭრათ ქვეყნისთვის ბევრი სასიცოცხლოდ აუცილებელი საკითხი და დაძლეულ ყოფილიყო ანარქია, რაც ქვეყანაში სუფევდა. სტატიის ავტორს მოჰყავს მხატვრული შედარება, ქვეყანაში არსებული მდომარეობის და სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაბატონებული მდგომარეობის, ერთი ვაჭრის ისტორიასთან, რომელიც გაკოტრდა საკუთარი უუნარობის გამო და არ სურდა დახმარება ეთხოვა კომპეტენტური ადამიანისთვის, რომელიც ის კრიზისული ვითარებიდან გამოიყვანდა, მითუმეტეს როცა ამ ვაჭარს ოჯახი ჰყავდა, რომლის წინაშე მას პასუხისმგებლობა ჰქონდა ნაკისრი.⁴⁰

აღნიშნულ სტატიას გამოხმაურება მოჰყვა იმდროინდელ ქართულ პრესაში. გაზეთ „ერთობამ“ „კაუკაზიშე პოსტის“ ეს სტატია მთლიანად თარგმნა და გამოაქვეყნა 13 ივლისს.⁴¹ გაზეთი „საქართველო“ ასევე გამოეხმაურა აღნიშნულ სტატიას.

იმის ფონზე, რომ კრიტიკული სტატიები ქართულ პრესაში მოცემულ პერიოდში იშვიათობას არ წარმოადგენდა, ამ ყველაფრის მიუხედავად ყურადღებას იქცევს ის გამოხმაურება რაც გერმანულ გაზეთში დაბეჭდილ მწვავე კრიტიკულ სტატიას მოჰყვა. ეროვნული საბჭოს სხდომაზე საუბარიც კი გაიმართა აღნიშნული საკითხის გარშემო. განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიული პარტია აქტიურობდა.

გენ. კრესენშტაინი თავის მოგონებებში წერს, რომ ჟორდანიამ საჩივარი გამოთქვა მასთან საგანგებო მიღებისას „კაუკაზიშე პოსტის“ პოზიციის და მისი არასოციალისტურ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. კრესენშტაინის განმარტებით,

⁴⁰ Der georgische Nationalrat, In: Kaukasische Post, №35/1918, S. 1.

⁴¹ პრესა, გაზ. „ერთობა“, №145/1918, გვ.1.

ის მასში ხედავდა მიზმს, ქართველი სოციალისტების გერმანელების წინააღმდეგ განწყობაში (Meine Mission... 2001: 56).

იმავედროულად კრესენშტაინს ეწვია ერთ-ერთი საპატიო გერმანელი, არტურ ლაისტი, რომელმაც გერმანული მისიის ხელმძღვანელს დახმარება სთხოვა „კაუკაზიშე პოსტის“ რეორგანიზაციის საქმეში, რასაც ის ძალიან საჭიროდ თვლიდა (Meine Mission... 2001: 57).

საინტერესოა, რომ აღნიშნული სტატიის გამოქვეყნებამდე საკმაოდ ადრე, 32-ე ნომერში მთავარ სტატიად დაიბეჭდა ასევე კრიტიკული სტატია „საქართველოს საშინაო მდგომარეობის შესახებ“, რომელიც ამჯერად სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ღია და ზოგად კრიტიკას მოიცავდა.

„კაუკაზიშე პოსტი“ უკვე საპასუხო სტატიას ასეთი გამოხმაურების შემდეგ აქვეყნებს 38-ე ნომერში, რომელშიც განმარტავს, რომ ავტორის კრიტიკა არასწორად იქნა გაგებული ქართული მხარის მიერ. მიუხედავად აღნიშნული განცხადებისა, სოციალ-დემოკრატიის კრიტიკა სტატიაში ისევ გრძელდება, თუმცა შერბილებულ ფორმაში. აქცენტი არტურ ლაისტის პიროვნებასა და მის დამსახურებაზეა. სტატიაში საუბარია ასევე გერმანელი კოლონისტების კეთილგანწყობასა და გულშემატკივრობაზე ქართული სახელმწიფოების მიმართ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ გენ. კრესენშტაინი დაუფარავად წერდა, რომ ქართველები არიან თავისუფლებისმოყვარე, თუმცა პოლიტიკურად მოუმწიფებელი ერი (Meine Mission... 2001: 41). როცა ის მთავრობის შემადგენლობაზე საუბრობს, ხაზს უსვამს მათ განათლებას და პატრიოტულ სულისკვეთებას. ამავე დროს ის საუბრობს, ქართველების არაკომპეტენტურობაზე არაერთ საკითხში. იმასაც აღნიშნავს, რომ ქართველებმა ერთბაშად ჩამოაშორეს ბიუროკრატიულ საკითხებს რუსები, რომლებსაც საკმაო გამოცდილება და ცოდნა ჰქონდათ. ავტორის თქმით, თავიდან მენშევიკურ მთავრობას, განსაკუთრებით კი ეროვნულ-დემოკრატებს, რომლებიც კონსერვატიული და რეაქციული ელემენტებისგან შედგებოდა, უნდობლობა და შიში ჰქონდათ გერმანული სამშვიდობო წარმომადგენლობის მიმართ, რომ გერმანელები შეეცდებოდნენ რაიმე

ფორმით ჩარეულიყვნენ ქვეყნის საშინაო საქმეებში, რაც არ მოხდა და ამან ქართველების მხრიდან მათ მიმართ დიდი ნდობა და პატივისცემა შექმნა (Meine Mission... 2001: 42).

ის აღნიშნავს, რომ პირადად მიუთითებდა მთავარ პერსონებს, რომ თავად უნდა გააქტიურებულიყვნენ და მეტი ემუშავათ, რომ ქვეყანა ფეხზე დამდგარიყო და უცხოელების მხრიდან დახმარებაზე არ ყოფილიყვნენ დამოკიდებულები. კრესენშტაინი ასევე უშუალოდ საუბრობს უმთავრეს პრობლემებზე, რომლებიც იყო საქართველოში:

- ✓ ანარქიული მდგომარეობა ქვეყანაში. კრიმინალური შემთხვევების ზრდა, სროლები თვით თბილისის ქუჩებში და სხვ.

- ✓ ჩამოუყალიბებელი სუსტი არმია;

- ✓ საკვების ნაკლებობა და შიმშილობის დიდი საფრთხე. მაშინ როცა ხელისუფლებამ მიიღო კანონი, რომ მინა გადასცემოდათ გლეხებს, რომლებსაც მთელი საწარმოო საშუალებები აკლდათ, ამ დროს კი ქვეყანა საკვები პროდუქტების საგრძნობი ნაკლებობის წინაშე იდგა და სხვ. (Meine Mission... 2001: 43).

აღსანიშნავია, რომ:

- ✓ კითხვაზე, იყო თუ არა სტატიის ავტორი ქართველ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისთან კავშირში და უფრო მეტიც, იყო თუ არა „კაუკაზიშე პოსტში“ გამოქვეყნებული მთავარი სტატია მათი რიგებიდან ვისმეს დაწერილი, რაზეც გაზეთი „ერთობა“ მიუთითებს, გადაჭრით პასუხის გაცემა რთულია. რადგან არ ვიცით თავად სტატიის ავტორის ვინაობა და მითუმეტეს ვერ ვისაუბრებთ, ავტორის კავშირზე ეროვნულ-დემოკრატებთან და სხვ.

- ✓ რამ წარმოშვა გაზეთის რეორგანიზაციის საჭიროება, რა მიმართულებით უნდა მომხდარიყო მისი რეორგანიზაცია და რატომ წამოიჭრა ეს საკითხი მაინცდამაინც ხსენებულ სტატიაზე წარმოქმნილ ე.წ აჟიოტაჟის პრობებში? როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაზეთის რეორგანიზაციის მიზნით, არტურ ლაისტმა დახმარება სთხოვა კრეს ფონ კრესენშტაინს. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ამ სტატიის ირგვლივ წარმოშობილ ამბებს დაუკავშირდა არტურ ლაისტის ეს მიმართვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაზეთის საპასუხო სტატიაში წინ წამოწეულია არტურ ლაისტის პიროვნება და გერმანელი

კოლონისტების კეთილგანწყობა ქართული საქმის მიმართ და მხარდაჭერისთვის მზადყოფნა და უნინდელი კრიტიკა ეროვნული საბჭოს და მთავრობის საქმიანობის მიმართ შერბილებულია. ამ სტატიის კითხვა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ კრიტიკა ემსახურება კრიტიკას და არ არის არგუმენტებით გამყარებული. გარკვეულ მომენტში საგრძნობია გადაჭარბებაც. გაზეთი საქართველო სწორად შენიშნავდა, რომ „კაუკაზიშე პოსტის“ აღნიშნულ სტატიაში მართალია სწორადაა ხაზგასმული, რომ ეროვნული საბჭოს რეორგანიზაცია და სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შემცირება საჭიროა, თუმცა უამრავი პრობლემის არსებობის პირობებში ეს გაზეთს მიზამშენონილად არ მიაჩნია. ვფიქრობ, არტურ ლაისტის თხოვნაში რეორგანიზაცია არა მხოლოდ კონკრეტული პარტიის მიმართ უარგუმენტო კრიტიკის შემცირებას, არამედ მთელ რიგ სხვა ორგანიზაციულ საკითხებს შეეხებოდა, რაც გაზეთის რედაქციის მიმართულებით იარსებებდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ გაზეთი მოგვიანებით გაზრდილი ტირაჟით გამოდიოდა, კვირაში სამჯერ ორის ნაცვლად, ამ ყველაფერს კი სერიოზული ორგანიზება სჭირდებოდა.

✓ ის გარემოება, რომ კრესენშტაინი დაუფარავად აკრიტიკებდა ქართველებს ბევრ საკითხში, რაც რიგ შემთხვევაში შეიძლება ცოტა გაზვიადებულია, თუმცა რეალურია და სინამდვილეს შეესაბამება. ის ამას აკეთებს არა იმიტომ, რომ ქართველები სძულდა და საკუთარ ანტიპათიას გამოხატავდა ამ ფორმით, სავარაუდოდ, ის წერდა, იმის გამო, რომ მას ეს ყველაფერი აღელვებდა და აფიქრებდა. ვფიქრობ, ამ კონცეფციის ფარგლებში მოხდა ასევე „კაუკაზიშე პოსტის“ სტატიის შექმნაც. ეს უნდა ყოფილიყო გარკვეულად თვალის ახელა სოციალ-დემოკრატებისთვის, რომლებიც ყველა სახელისუფლო სფეროში უმრავლესობას შეადგენდნენ, იმავდროულად კი - წახალისება და მხარდაჭერის გამოცხადება სხვა პარტიებისთვის, რომლებიც პატრიოტულად იყვნენ განწყობილები. გაზეთის ავტორი მიუთითებს, რომ პატრიოტული სულისკვეთების ქონა საქვეყნო საქმის კეთებისას უმნიშვნელოვანესი იყო.

✓ თვით უარგუმენტო და ზოგადი მსჯელობა, რომელიც კეთილი მიზნით არის დაწერილი და ცალსახად, დამოუკიდებელ და თავისუფალ ქვეყანაში, როგორც საქართველო იყო, პატრიოტიზმის, საქმისადმი პროფესიონალური მიდგომის და

კომპეტენტურობის ამაღლებას ემსახურებოდა, საქართველოს დემოკრატიული კონსტიტუციის პირობებში, სრულიად მისაღებია. ყველაფრის მიუხედავად, ჟორდანიას მითითება, რომ ამ სტატიას და ზოგადად „კაუკაზიშე პოსტის“ კონცეფციას შეიძლება ქართული და გერმანული სოციალ-დემოკრატიის დაპირისპირება გამოენვია, გაზვიადებულად მეჩვენება. თუმცა ამ გაზეთისადმი ლოიალურ დამოკიდებულებაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ეროვნულ საბჭოში კრიტიკა მხოლოდ „კაუკაზიშე პოსტზე“ არ იყო მიმართული, არამედ ეს ხდებოდა სხვა გაზეთების კრიტიკის კონტექსტში. თავის მხრივ „კაუკაზიშე პოსტმა“ ეს გარემოება დამამცირებელად მიიღო, რომ მას აკრიტიკებდნენ პრორუსული ორიენტაციის გაზეთებთან ერთად, მაშინ როცა „კაუკაზიშე პოსტი“ ქართულ საქმეს აკეთებდა და ქართული სახელმწიფოს ინტერესების ფარგლებში მოქმედებდა.

დასკვნა

გაზეთში არსებული უმნიშვნელოვანესი მასალა საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნას XX საუკუნის 10-20-იანი წლების კავკასიის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა.

გაზეთი ოპერატიულად აშუქებდა მოვლენებს კავკასიასა და მთელს მსოფლიოში, რაც პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას და მის შემდეგ ხდებოდა. „კაუკაზიშე პოსტის“ განახლებულ გამოცემაში პირველი თვეების განმავლობაში რევოლუციური იდეების ნამდვილი პროპაგანდა მიმდინარეობდა. გაზეთი პოზიტიურად აფასებდა რუსეთის რევოლუციას და მისი მიღწევის შენარჩუნებისა და გაღრმავებისკენ იყო მომართული, რაც კავკასიაში პროგრესის მომტანი უნდა ყოფილიყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საფიქრებელია, რომ გაზეთი გარკვეულ ეტაპზე ხელშეწყობას განიცდიდა გერმანიის მხრიდან. ეს განსაკუთრებით კრეს ფონ კრესენსტაინის მისიის საქართველოში ყოფნის დროს შეგვიძლია ვამტკიცოთ. უნდა ვიფიქროთ, რომ გერმანელ კოლონისტებს აუცილებლად უნდა ჰქონოდათ გარკვეული კავშირები გერმანიის პოლიტიკურ და სამხედრო წრეებთან. ეს ლოგიკურიცაა იმ დროს, როცა გერმანიის კავკასიური პოლიტიკა განსაკუთრებით აქტიური ხდება და გერმანია ყოველმხრივ მზადყოფნას აცხადებს, ხელი შეუწყოს ქართული სახელმწიფოს მშენებლობას, აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას დე-ფაქტოდ, აფორმებს მასთან არაერთ ხელშეკრულებას, რაც გულისხმობს ორი ქვეყნის თანამშრომლობას სხვადასხვა მიმართულებით, აგზავნის სამშვიდობო მისიას და არაერთ გერმანელ ჯარისკაცს, საქართველოში უსაფრთხოების და წესრიგის აღსადგენად და სხვ. გერმანელი კოლონისტები გერმანიისთვის წარმოადგენდა ძალას, რომ დაეცვა რეგიონში საკუთარი ინტერესები, მოეხდინა გერმანული პოლიტიკის პოპულარიზაცია და კეთილგანწყობილი რეგიონის მოსახლეობა გერმანიის მიმართ, რაც მას საკუთარი პოლიტიკის წარმატებით გატარებაში დაეხმარებოდა.

„კაუკაზიშე პოსტის“ რამდენიმე სტატიის ავტორობა რომა ლუქსემბურგს უნდა მივანეროთ თუ არა, საკამათოა, თუმცა ეს ამავდროულად სრულიად შესაძლებელი და რეალურიცაა. აღნიშნული სტატიების მონაკვეთების რომა ლუქსემბურგის სხვა ტექსტებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვთქვამთ ჰიპოთეზას, რომ „კაუკაზიშე პოსტის“ სტატიების ავტორად, რომლებსაც ტექსტის ბოლოს ავტორის სახელის და გვარის შემოკლება (L.R) მოსდევს, რომა ლუქსემბურგი უნდა მივიჩნიოთ.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მეოთხე პუნქტის ცვლილება, რასაც გერმანელ კოლონისტებში ძალიან მწვავე რეაქცია მოჰყვა, საზღვაო ქალაქ ბათუმის დაკარგვის საშიშროებით შეიძლება აიხსნას. თურქეთის დაუოკებელი ამბიციები ტერიტორიული ზრდის ქართული მიწების ხარჯზე იმ პირობებში, როცა კავკასიაში არ არსებობდა რეალური ძალა, რომელიც მის ამბიციებს შეზღუდავდა, გადამწყვეტი აღმოჩნდა გერმანიის კავკასიური პოლიტიკის გააქტიურებისა. შესაბამისად, უეცრად „ქართული საქმე გახდა გერმანული“ (Fischer 1984: 488-489).

„კაუკაზიშე პოსტის“ არაერთი ინფორმაცია გერმანელ კოლონისტებზე ყაჩაღური ბანდების თავდასხმების შესახებ, რაც თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა შემთხვევითი ცხადია არ იყო, არამედ ეს იყო კარგად ორგანიზებული და დაგეგმილი თურქული მხარის მიერ და შემსრულებლები, როგორც „კაუკაზიშე პოსტი“ ასახელებს იყვნენ თათრები, ანუ აზერბაიჯანელები. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ავხსნათ ის გარემოება, რომ გაზეთი ნაკლებ ყურადღებას იჩენს აზერბაიჯანელი ხალხის და მათი ქვეყნის მიმართ. ის გარემოება, რომ თავდასხმები გერმანელ კოლონისტებზე ინტენსიურად მიმდინარეობდა თურქეთის მხრიდან ყარსის დაკავებამდე, გვაფიქრებინებს, რომ ეს თავდასხმები თურქული მხარის მიერ დაგეგმილი და კარგად ორგანიზებული იყო, რაც მიზნად ისახავდა, აღნიშნული ტერიტორიის გერმანელებისგან დაცლას. ამით ყარსის დაკავება ბევრად გამარტივდებოდა და მოკავშირე გერმანია კოლონისტებისადმი ცუდ მოპყრობაში თურქეთს ბრალს არ დასდებდა.

ის გარემოება, რომ გერმანია საექსპორტო პროდუქციას საქართველოში არ აგზავნიდა, უნდა აიხსნას ერთი მხრივ საქართველოს არასტაბილური საშინაო და

ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობით და მეორეს მხრივ, გერმანული ფირმების მონოპოლიისადმი სწრაფვითა და გერმანიის ორჭოფული ეკონომიკური პოლიტიკით.

„კაუკაზიშე პოსტის“ რეორგანიზაციის საჭიროებაზე არტურ ლაისტი ალაპარაკდა, რომელმაც დახმარება კრესენშტაინს სთხოვა. რთულია იმის ზეპირად თქმა, თუ კონკრეტულად რას გულისხმობდა აღნიშნული რეორგანიზაცია და რა ფორმით უნდა განხორციელებულიყო ის. ამ საკითხს ვუკავშირებთ გაზეთის ერთ-ერთ მწვავე კრიტიკულ სტატიას, სადაც გაკრიტიკებული იყო სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია საქართველოს ეროვნულ საბჭოში და გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ეს სტატია შეიძლება გამხდარიყო ამის ერთ-ერთი მიზეზი.

„კაუკაზიშე პოსტი“ ძალიან საინტერესო მასალას შეიცავს. ვფიქრობ, პერიოდულ გამოცემას განსაკუთრებულ ხიბლს სძენს მოვლენათა ანალიზი და საკუთარი ინტერპრეტაცია, რაც „კაუკაზიშე პოსტში“ უხვდაა. აღნიშნული პერიოდული გამოცემის კვლევა უდაოდ იმსახურებს მეტ ყურადღებას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, ჩემი მისია საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, გამომცემლობა „მონამეთა“, 2002, 152 გვ.

ბრეგადე ლ. არტურ ლაისტის გაზეთი და საქართველო, „კრიტიკა“, 13, 1975.

გოგიაშვილი ნ. საქართველოს გერმანული კოლონიები, გერმანიის ქართული სათვისტომოს ორგანო, 13 (22), მიუნხენი, 2009.

გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს, ტ. 1, თბილისი, 1949.

გუგუშვილი პ. გერმანელი კოლონისტები და ადგილობრივი გლეხობა ამიერკავკასიაში (გერმანიის ეკონომიკური ინტერესები ამიერკავკასიაში), ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1946.

გრძელიძე რ. საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995, 60 გვ.

გურული ვ., ვაჩნაძე მ., შველიძე დ., საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, თბილისი, არტანუჯი, 2003, 274 გვ.

მანჯგალაძე ვ. გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, თბილისი, მეცნიერება, 1974. საქართველოს არქივი, გერმანული დოკუმენტების პირთა კოლექცია.

სონდუღლაშვილი ა. გერმანელები საქართველოში, თბილისი, მეცნიერება, 1995, 52 გვ.

შოშიაშვილი მ. თბილისის გერმანული გაზეთი - „კაუკაზიმე პოსტ“ (1906-1921), საქართველო და ევროპის ქვეყნები, თბილისი, მეცნიერება, 1991. გვ. 43-52.

შპრინგჰორნი დ. გერმანელები საქართველოში. თბილისი, თბილისის გოეთეს ინსტიტუტი, 2004, 203 გვ.

- ქორღანია ნ. ჩემი წარსული, თბილისი, სარანგი, 1990, 136 გვ.
- W. Baumgart, Deutsche Ostpolitik 1918. Von Brest-Litowsk bis zum Ende des Ersten Weltkrieges, Wien/München 1966, 462.
- F. Fischer, Griff nach der Weltmacht: die Kriegszielpolitik des kaiserlichen Deutschland 1914/1918, Droste-Verlag, Düsseldorf 1984, 575 S.
- A. Laschitza, Rosa Luxemburg, Berlin, Aufbau-Verlag, 1996, 687 S.
- R. Luxemburg, Die russische Revolution. Eine kritische Würdigung, Frankfurt am Main, Verlag der Kommunist, 1922, 224 S.
- R. Luxemburg: Meine Schriften. Gedenkausgabe, Jazzybee, 2012.
- Friedrich Kress von Kressenstein, David Paitschadze (Hg.): Meine Mission im Kaukasus, Tiflis, samschoblo, 2001, 155 S.
- J. Mosidze, Zur Geschichte und zu den sprachlichen Besonderheiten der Schwaben in Georgien, in: Georgien im Spiegel seiner Kultur und Geschichte, Zweites Deutsch-Georgisches Symposium der Berliner Georgische Gesellschaft e.V Mai 1997.
- T. Rahlf, Deutschland in daten. Zeitreihen zur Historischen Statistik, Bonn, Bonifacius GmbH, 2015, 341 S.
- W. Zürner, Kaukasien 1918-1921. Der Kampf der Großmächte um die Landbrücke zwischen Schwarzem und Kaspischem Meer, Düsseldorf, Droste, 1978, 733 S.
- Proceedings of the Brest-Litowsk Peace conference. The peace negotiations between Russia and the central powers, Washington, government printing Office, 1918, 898 S.
- Kaukasische Post, Tiflis 1918. [http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/112115/simple-search?location=1234%2F112115&query=&rpp=100&sort by=dc.date.issued dt&order=asc&filter_field_1=dateIssued&filter_type_1>equals&filter_value_1=1918](http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/112115/simple-search?location=1234%2F112115&query=&rpp=100&sort%20by=dc.date.issued%20dt&order=asc&filter_field_1=dateIssued&filter_type_1>equals&filter_value_1=1918)
- История российских немцев в документах. М., 1993.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Humanities

Master's Program for Russian Studies

Dobadzishvili Ketino

„Caucasian Post“ - the only German-language newspaper in the Caucasus,
in the centre of political and economic affairs (1918-1922)“

The work is accomplished in obtaining the Master's degree in Russian Studies

The head of the diploma thesis: Dali Kandelaki

Doctor of History, Assoc. Professor

Tbilisi

2019